დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N 220 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ბაცანკალაშვილი

წევრები:

ნიკა უთალიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

მზევინარი დარბაისელი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა ჯიმშიაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ვალერიანე ვოლჩანსკი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ლეილა ხელისუფალი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

დიმიტრი პოპოვი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

თეა გაბისონია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ლიანა კობესაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

მანანა როსტომაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N 220 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	205383306

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ცხრა ძმის ქ. N58
საფოსტო ინდექსი	0101
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/2570?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi220@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	2 887220; 599901837

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის N MES 8 25 0001083581 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 15 და 16 ოქტომბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	თბილისი, ცხრა ძმის ქ. 58; 1 შენობა-ნაგებობა
	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	თბილისი, ცხრა ძმის ქ. 58; 1 შენობა-ნაგებობა
	საჯარო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	თბილისი, ცხრა ძმის ქ. 58; 1 შენობა-ნაგებობა
	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - უკრაინული სექტორი	დაწყებითი საფეხური	უკრაინული ენა	თბილისი, ცხრა ძმის ქ. 58; 1 შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
820	584	820

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N 220 საჯარო სკოლა დაფუძნდა და პირველი ავტორიზაცია გაიარა 2020 წელს. სკოლა ფლობს თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ შენობას, კეთილმოწყობილ ეზოს და სპორტულ დარბაზს.

2022 წელს, დაწესებულებაში გაიხსნა უკარინული სექტორი, სადაც ირიცხება 90-ზე მეტი მოსწავლე და დასაქმებულია არა ერთი უკრაინის მოქალაქე მასწავლებელი.

დაწესებულებაში შეინიშნება ორ სექტორს შორის კეთილგანწყობილი და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 820	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას, ორი ცვლის შემთხვევაში.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
ინდიკატორი N 3.6.3.4	*სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ*	<u>**დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია,**</u> ვებ გვერდზე განათავსოს ინფორმაცია უკრაინულ ენაზე, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული თარიღის დაცვით (20.11.2025)

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი N 3.1.1.1	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული*	**<u>დაწესებულებას მიეცა რჩევა,</u>** ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში ან/და სკოლის სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებული პირების საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტში განსაზღვროს უკრაინული სექტორის კოორდინატორის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
ინდიკატორი N 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);*	**<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u>** უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამ დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	**სახელმწიფო ენა - ქართული სექტორი** გააგრძელონ მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდრონ ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით.ეს ხელს შუწყობს როგორც მოსწავლეების მოტივაციის გაზრდას, ისე მათი მიღწევების შეფასებას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** ზოგიერთ შემთხვევაში სკოლას მიეცა რჩევა, სახელმძღვანელოს პარაგრაფების ჩამონათვალი, რომელიც წარმოდგენილია ,,საკითხების'' სვეტში, გაერთიანდეს კლასტერებად, რათა შესაძლებელი იყოს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინების მიზნით მეტი მოქნილობის გამოვლენა. ასევე, სკოლას მიეცა რჩევა, გადაიხედოს კონტექსტმაგალითების და შედარების მაგალითების მიმართება. მაგ. თუ კონტექსტმაგალითად ფიზიკის კურიკულუმში განსაზღვრულია ,,კატაპულტი", შედარების მაგალითი ისევ ,,კატაპულტი" ვერ იქნება. **მათემატიკა**

		სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს საკუთარი რეგულაციების შესრულება (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი N 2.1.2.2.	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	**უცხოური ენები** კურიკულუმების შედგენის დროს უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებმა პირველ რიგში იხელმძღვანელონ ესგ-ის ბოლო ვერსიით და ზუსტად გადაიტანონ ესგ-დან კურიკულუმში თემების და ცნებების დასახელება. რუსული ენის კურიკულუმების შედგენის დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ და მიუთითონ ესგ-ში მითითებული თემები თემატური ბლოკები მიხედვით საფეხურების გათვალისწინებით, აგრეთვე ყველა კლასის კურიკულუმებში სწორად მიუთითონ ცნებები.
ინდიკატორი N 2.1.2.3.	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	**უცხოური ენები** მასწავლებლებმა მუდმივად ამოწმონ კურიკულუმებში მოცემული ე.წ. „ლინკები“ რადგან ზოგი ლინკი არ იხსნება ან ლინკზე გახსნილი რესურსის თემა არ შეესაბამება კურიკულუმში დაწერილ თემას. სასურველია მასწავლებელმა მისთვის საჭირო ელ.რესურსი ჩამოტვირთოს და შეინახოს საკუთარ იუთუბარხზე.
ინდიკატორი N 2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	**უცხოური ენები** საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული დავალებები მატერიალური სახით შეინახონ და ამითი კათედრაზ შეიქმნება ე.წ. დავალებების ბანკი.
ინდიკატორი N 2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	**უცხოური ენები** კათედრამ ცალკე შეიმუშაოს უცხოური ენების სასწავლო მიზნებზე (ესგ) მორგებული შეფასების რუბრიკები უცხოურ ენაში სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, გრამატიკა...) . ამ რუბრიკების საშუალებით კი

		მასწავლებელი სასწავლო პროცესის დროს შეძლებს შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკა. **სახელმწიფო ენა** უკრაინული ენის მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ შესაბამისი სტანდარტით (შედეგ- ინდიკატორებით), გაითვალისწინონ რას ამოწმებს დავალება და შეიმუშაონ შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის.
ინდიკატორი N 2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	**სახელმწიფო ენა - უკრაინული სექტორი** უკრაინული ენის მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ შესაბამისი სტანდარტით(შედეგ- ინდიკატორებით), გაითვალისწინონ რას ამოწმებს დავალება და შეიმუშაონ შეფასების განმსაზღვრელი დ განმავითარებელი რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის. ეს ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის პროცესის სანდოობას,ობიექტურობასა და გამჭვირვალობას.
ინდიკატორი N 2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	**უცხოური ენები** სასურველია კათედრამ სასწავლო წლის დასაწყისში შეადგინოს ცალკე დოკუმენტად ან ცალკე სიით დამატებითი დამხმარე რესურსების ჩამონათვალი, რომელიც წარდგენილი იქნება კათედრის პირველ ოქმის დანართად და სკოლის/ ადმინისტრაციის სათანადო პირმა გამოიკვლიოს ამ რესურსების ვალიდობა / ან თავად კათედრამ დაადგინოს ამ რესურსების ვალიდობა.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის გეგმა და დაკორექტირებული კურიკულუმების ამსახველი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული დოკუმენტები და სრულად გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. **კერძოდ:**

<u>ინდიკატორი 3.6.3.4 გადავიდა სრულ შესაბამისობაში</u> - არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის გაცნობით დგინდება, რომ დაწესებულებამ ხარვეზის აღმოფხვრის თარიღად განსაზღვრა მიმდინარე წლის 20 ნოემბერი. ვებ-გვერდის შემოწმებით დადგინდა, რომ სკოლის ვებ-გვერდზე ძირითადი ინფორმაცია უკრაინულ ენაზე ნამდვილად არის განთავსებული.

გარდა ამისა, საგნობრივი კურიკულუმების შესწავლით დგინდება, რომ განახლებულ ფორმებში ექსპერტების მიერ გაცემული რჩევების დიდი ნაწილი გათვალისწინებულია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სსიპ ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N 220 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მისია და ხედვა:

სკოლის მისიაა:

უსაფრთხო და პოზიტიურ გარემოში, პროფესიონალთა გუნდის მიერ, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სწავლების უახლესი მეთოდების გამოყენებით, ისეთი თაობების აღზრდა, რომლებიც შეძლებენ თვითრეალიზებას და პოზიტიური ცვლილებების განხორციელებას მუდმივად განვითარებად სამყაროში.

სკოლის ხედვაა:

- მოსწავლეთა უწყვეტ განვითარებაზე ზრუნვით მოაზროვნე, ინიციატორი, წიგნიერი და ინფორმირებული პასუხისმგებლიანი მოქალაქის ჩამოყალიბება;
- ფსიქოემოციური და ფიზიკური უსაფრთხოების პირობებში ჯანსაღი ცხოვრების წესის უნარ-ჩვევების განვითარება;
- პედაგოგების და სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობით ფორმალური თუ არაფორმალური განათლების საფუძველზე კულტურული ფასეულობების ფორმირება;
- პროფესიონალი აღმზრდელების მხარდაჭერით კონკურენტუნარიანი პიროვნების ჩამოყალიბება, რომელიც შეძლებს დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღებას და საკუთარი მიღწევების გამოყენებას ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ დაწესებულების მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სსიპ ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N 220 საჯარო სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხო სოციო-კულტურული სივრცის შენარჩუნების მიზნით, სკოლა ახორციელებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო აქტივობებს მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის. სკოლაში განხორციელებული პროექტები და სხვა არაფორმალური განათლების აქტივობები მიზნად ისახავს მოსწავლეებისა და თანამშრომლების სასკოლო ცხოვრებაში მაქსიმალურად ჩართვას. სკოლას, რომელიც დაფუძნდა 2020 წელს და ფუნქციონირება დაიწყო პანდემიის პირობებში. არსებობის 5 წლის მანძილზე, განხორციელებული აქვს მრავალფეროვანი გასვლითი გაკვეთილები და ექსკურსიები, ღია კარის დღეები სასკოლო გარემოს გასაცნობად, საქველმოქმედო ღონისძიებები, შიდასასკოლო გამოფენები, დამატებითი მომსახურებები კლუბების სახით, პროფესიული განათლების ხელშემწყობი აქტივობები, ოლიმპიადები, კონფერენციები, ლიტერატურული საღამოები, სპორტული გასართობი და შემეცნებითი აქტივობები - სკოლის მასშტაბით და სკოლებს შორის კალათბურთის, რაგბის, საჭადრაკო შეჯიბრებები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლიდან, მსოფლიოში შექმნილი ვითარების გამო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამული დაფინანსებით, სკოლაში ფუნქციონირებს უკრაინული სექტორი დაწყებით საფეხურზე. უკრაინულ სექტორში, ქართველ პედაგოგებთან ერთად, დასაქმებულია არაერთი უკრაინის მოქალაქე და ირიცხება 100-მდე უკრაინიდან დევნილი მოსწავლე. მათთვისაც სკოლა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვენლოვანი (რიგ შემთხვევაში ერთადერთი) სივრცეა საგანმანათლებლო, სოციალური, კულტურული და პროფესიული განვითარების მიმართულებით.

დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და დასაქმებული პირები უზრუნველყოფენ უსაფრთხო გარემოს შექმნას და წესრიგის დაცვას კანონმდებლობისა და სკოლის მიერ განსაზღვრული შიდა მექანიზმების შესაბამისად. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

<u>**დაწესებულებამ 2020 წელს გაიარა ავტორიზაცია იმ პერდიოსათვის მოქმედი სტანდარტების მიხედვით.**</u> 2023 წელს კი, ახალ სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, შეიმუშავა შესაბამისი მექანიზმები და განახორციელა ქმედებები. მათ შორის, 2023 წლის 04 ივლისს N 2-113 ბრძანებით დაამტკიცა სამუშაო ჯგუფი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმდო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის წესის შედგენისა და რევიზიის მიზნით, ხოლო 2023 წლის 10 ოქტომბრის N 1-76 ბრძანებით, საბოლოო სახით, დაამტკიცა სსიპ-ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

შესწავლილი დოკუმენტების მიხედვით (სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები, განხორციელებული გამოკითხვები და შესაბამისი ფორმები), მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და მისი წევრების უკუკავშირის გათვალისწინებით.

აღნიშნული პროცესები დადასტურებულ იქნა მშობლებთან და მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებთან გასაუბრებითაც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწერილია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების ეტაპები. **რეავტორიზაციის ვიზიტის დროს,** ინტერვიუირებისა და მსჯელობის პროცესში, არა ერთხელ გამოიკვეთა სკოლის დირექტორის, თანამშრომლებისა და პედაგოგების მიერ, სკოლის მისიისა და ღირებულებების გაცნობიერების მაღალი დონე. აღსანიშნავია, რომ როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა, სკოლის მართვისათვის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი თუ დებულება შემუშავებულია გუნდის ჩართულობით და მათი უკუკავშირის გათვალისწინებით.

ვიზიტის დროს ასევე გამოიკვეთა, რომ უკრაინული სექტორის სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულნი იყვნენ სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში. მათ გააზრებული და გაზიარებული აქვთ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები და მათ მიერ დადგეგმილი აკადემიური თუ კლასგარეშე აქტივობები მიემართება სკოლის მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი სკოლის ცენტრალურ შესასვლელში. ისინი ასევე განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რომელზეც ხელმისაწვდომია ყველანაირი ინფორმაცია სკოლის შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **თბილისის N 220 საჯარო სკოლა ატარებს აფხაზეთის ომში დაღუპული გმირის - ზურაბ ძამუნაშვილის სახელს.** დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 13 თებერვლის N 12/ნ ბრძანება „სსიპ – ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლისათვის ზურაბ ძამუნაშვილის სახელის მინიჭებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისმინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ,“ რომლის მიხედვითაც სკოლის სტატუსად და სახელწოდებად განსაზღვრულია: საჯარო სამართლის

იურიდიული პირი (სსიპ) ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N 220 საჯარო სკოლა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სასკოლო საზოგადოების კვლევის კითხვარები;
- ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- სკოლის ვებ გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/2570?schoolName

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სსიპ ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N 220 საჯარო სკოლამ შეიმუშავა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია 2023 წელს, რომელიც განახლდა და საბოლოო სახით დამტკიცდა 2023 წლის

10 ოქტომბრის N 1-76 ბრძანებით. მასში განსაზღვრულია სასკოლო პოლიტიკის შემუშავების პროცესის - მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითადი ეტაპები და პროცესში ჩართული მხარეები. მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის მექანიზმები და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხები. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლამ წარმოადგინა 2024-2031 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. რომელშიც გაწერილია 7 წლის განმავლობაში მისაღწევი მიზნები. სკოლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს შესავალ ნაწილს, SWOT ანალიზს, სკოლის ფილოსოფიას და სტრატეგიულ ჩარჩოს.

სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის, სკოლას დაგეგმილი აქვს 2024-2031 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- სკოლის ორგანიზაციული განვითარება
- სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება
- სკოლის მატერიალური ბაზი სრულყოფა- განვითარება და აღჭურვა
- სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით
- პროფესიული განვითარების ხელშეწყობა
- სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება 2024-2031 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმას და ორიენტირებულია მასში გამოკვეთილი მიზნების შესრულებაზე. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

დაწესებულების სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. სამოქმედო გეგმაში, მიზნებისა და ამოცანების მიხედვით გაწერილია აქტივობები, ნათლად არის წარმოდგენილი შესრულებაზე პასუხისმგებელ პირები/სტრუქტურულ ერთეულები, შესრულების ვადები, შესრულების ინდიკატორები და რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- 2024-2031 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სამუშაო ჯგუფის შექნის ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შეფასებას და მონიტორინგს. მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, თუ რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარდეგნის მეთოდს. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ, შესაბამისი მტკიცებულებებით. წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით გამართულ გაერთიანებულ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“ შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.

<u>**რეავტორიზაციის ვიზიტის დროს,**</u> დაწესებულებამ წარმოადგინა სხვადასხვა პასუხისმგებელი პირების მიერ შემუშავებული ანგარიშები. წლის ბოლოს დაწესებულების მუშაობის ანალიზი და შეფასება დაეყრდნო კათედრის ხელმძღვანელების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, საინფორმაციო მენეჯერის, დირექტორის მოადგილის და დირექტორის ანგარიშებს. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას დაწესებულება უზრუნველყოფს ვებ-გვერდის, საინფორმაციო დაფისა და ბეჭდური გამოცემების საშუალებით.

<u>**რეავტორიზაციის ვიზიტის დროს,**</u> სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი აქტიურად ეცნობიან სკოლის ვებ-გვერდს. გარდა ამისა, დამრიგებლებისა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალისგან იღებენ სრულფასოვან ინფორმაციას დაწესებულების მიერ განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი ფორმები (რუბრიკები), რის საშუალებითაც ხდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების თვისებრივი და რაოდენობრივი შედეგების აღნუსხვა. დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება სიტუაციური ანალიზი, პრობლემების იდენტიფიცირება, რომელზე დაფუძნებითაც იგეგმება შესაბამისი ჩარევები/აქტივობები. ასევე, მიმდინარეობს სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობების შედეგების ანალიზი. გასული სასწავლო წლის ანალიზის საფუძველზე,

შემუშავდა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, სადაც გათვალიწინებულია წინა წლის პრაქტიკა და შენიშვნები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- პასუხისმგებელი პირების ანგარიშები;
- 2024-2031 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N 220 საჯარო სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სკოლის სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებული პირების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლებიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორებიცაა: საკადრო პოლიტიკა, პროფესიული განვითარების მექანიზმები, სამუშაოს იდენტიფიცირება და მოკლე აღწერა, ფუნქციები და პასუხისმგებლობები, უფლებამოსილებები, სამუშაო პირობები, ანგარიშგება და შესრულების შეფასება.

დაწესებულებაში დასაქმებულია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, დარაჯი (2), ცეცხლფარეში (1), დამლაგებელი (4), მუშა (1), სპეციალური მასწავლებელი (3 - უფროსი პედაგოგის სტატუსით), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი (6); სულ პედაგოგიური პერსონალი - 42. თანამშრომელთა ფუნქციები მკაფიოდ არის გაწერილი. ასევე, შემუშავებულია დაწესებულების სტრუქტურის ორგანოგრამა, რომელიც ნათლად წარმოაჩენს სკოლაში დასაქმებული პირებისა და სტრუქტურული ერთეულების ურთიერთმიმართებას და იერარქიას.

სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. წარმოდგენილია მათი საქმიანობის დებულებები.

აღსანიშნავნია, რომ უკრაინულ სექტორზე დასაქმებულნი არიან როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქე პედაგოგები. სექტორს ქვეპროგრამის ფარგლებში ჰყავს ხელმძღვანელი - კოორდინატორი და ფსიქოლოგი. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

<u>რჩევა:</u> დაწესებულებას მიეცა რჩევა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში ან/და სკოლის სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებული პირების საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტში განსაზღვროს უკრაინული სექტორის კოორდინატორის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილების წინაპირობაა სკოლის მიერ წარმოდგენილი თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები. სკოლაში მიმდინარე პროცესების განხორციელებას ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების დებულებები და ისეთი მარეგულირებელი დოკუმენტები, როგორებიცაა სკოლის შინაგანაწესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვა.

<u>რეავტორიზაციის ვიზიტის დროს,</u> სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულებაში დასაქმებულ პირებს გაზიარებული აქვთ სკოლის საერთო მიზნები და ღირებულებები, ასევე ის ფუნქცია-მოვალეობები, რომლებიც მისიისა და ხედვის შესაბამისი ძირითადი და დამხმარე პროცესების განხორციელებისათვის არის მნიშვნელოვანი. მშობლები და მოსწავლეები ადასტურებენ, რომ მათთვის ცნობილია, ვის უნდა მიმართონ სხვადასხვა სიტუაციაში ინფორმაციის ან მხარდაჭერის მისაღებად. პირველ რგოლად სახელდება დამრიგებელი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლესა და მშობელს ამისამართებს დირექტორის მოადგილესთან და სკოლის დირექტორთან. კათედრის ხელმძღვანელებს კარგად აქვთ გაცნობიერებული საკუთარი მოვალეობები პედაგოგების მხარდაჭერის კუთხით; პედაგოგები ზრუნავენ საგაკვეთილო პროცესის ხარისხიანად წარმართვასა და მოსწავლეთათვის მრავალფეროვანი არაფორმალური აქტივობებისა და პროექტების შეთავაზებაზე. ტექნიკური გუნდი კი უზრუნველყოფს მატერიალური რესურსის მოვლა-პატრონობას და მეთვალყურეობას. იგრძნობა დირექციის მიმართ ანგარიშვალდებულება, რომელიც თავის მხრივ ზრუნვას მმართველობითი, საგანმანათლებლო და დამხმარე პროცესების ეფექტურად განხორციელებაზე. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებული პირების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;

- შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- eSchool-ის ბაზიდან ჩამოტვირთული თანამშრომლების სია.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სსიპ ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N 220 საჯარო სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სკოლის სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებული პირების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც ადმინისტრაციული, პედაგოგიური და დამხმარე თანამდებობების სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებულია შესაბამისი სამუშაო აღწერილობა. აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილი რეგულაციები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და, ასევე, განსაზღვრავს დაწესებულების მისიის შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, ინტეგრაციისა და განვითარების პრინციპებს.

დაწესებულებაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ხელშეკრულებისათვის არსებით პირობებს და დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომლის ხელის მოწერითაც პირი ადასტურებს თავის თანხმობას და იმ პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას, რაც შესაბამისი სამუშაო აღწერილობით მისი თანამდებობისთვის არის გათვალისწინებული. სკოლის თანამშრომლების მართვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად: საქართველოს შრომის კოდექსით აღიარებული უფლებებისა და რეგულაციების დაცვით, მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შერჩევის, ხელშეკრულების დადებისა და გაწყვეტის დროს სკოლა ხელმძღვანელობს ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების, ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანების, უკრაინულ სექტორზე მასწავლებლის შერჩევის შიდა წესისა და სხვა მოთხოვნათა გათვალისწინებით. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები რეგულირდება თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობებისა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და შინაგანაწესის მიხედვით და მოიცავს ინფორმაციას დასაქმებულთა სამუშაო პირობების, შრომის ანაზღაურების, წახალისების/ დისციპლინური დევნისა და სხვა საკითხების შესახებ. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. პედაგოგიური, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური პერსონალის დროებით ჩანაცვლების აუცილებლობის შემთხვევაში, სკოლა ახდენს მყისიერ რეაგირებას, რის გამოც სასკოლო პროცესის შეფერხება არ ხდება. სკოლაში მასწავლებლის წინასწარ ცნობილი ან დაუგეგმავი გაცდენის შეთხვევაში, სკოლის დირექტორის მოადგილე აკეთებს საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიკაციას: გაკვეთილების გადანაცვლებას, იმავე საგნის თავისუფალი მასწავლებლის/სხვა მასწავლებლის/დამრიგებლის შეშვებას გაკვეთილზე; ასეთ შემთხვევებს აქტიურად იყენებს სოციალური მუშაკი, რომელსაც წინასწარ აქვს გაწერილი სხვადასხვა კლასში განსახორციელებლი აქტივობები. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

დაწესებულებაში პერსონალის და მასწავლებლების შერჩევა მიმდინარეობს კანონმდებლობის დაცვით, კონკურსის საფუძველზე. კონკურსის გამოცხადებამდე, შესაბამისი თანამდებობის სამუშაო აღწერილობის გათვალისწინებით, წინასწარ განისაზღვრება კანდიდატისთვის წაყენებული აუცილებელი მოთხოვნები, ასევე წარმოსადგენი დოკუმენტაცია/ინფორმაცია. სსიპ ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N 220 საჯარო სკოლაში მასწავლებელთა დასაქმება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების შესაბამისად.

<u>**რეავტორიზაციის ვიზიტის დროს,**</u> შემოწმდა საკონკურსო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (ვაკანსიის განაცხადები შესაბამის პორტალზე, კონკურსის ოქმები, დირექტორის ბრძანებები და სხვ.), რომლებიც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ პირობებთან.

პერსონალის პირადი საქმეები მოწესრიგებულია - საქაღალდეებში წარმოდგენილია ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის, კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო ცნობები.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა გუნდმა შეისწავლა უკრაინულ სექტორზე დასაქმებული უკრაინის მოქალაქე პედაგოგებისა და პერსონალის პირადი საქმეები. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება სექტორის გახსნის დღიდან კოორდინირებულად მუშაობს საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კვლიფიციური კადრების მოძიებისა და დასაქმების კუთხით. სამინისტროს მხრიდან არაერთხელ განხორციელდა შესაბამისი კადრების/პედაგოგების მოძიება და სკოლისათვის წარდგენა, რომელთა დასაქმების შემთხვევაში, დაწესებულება ხელმძღვანელობს N174/ნ ბრძანებაში არსებული ჩანაწერის შესაბამისად, სადაც განსაზღვრულია, რომ პირები, რომლებსაც სურთ სკოლაში უკრაინულ სექტორზე დასაქმება, შეირჩევიან სკოლის მიერ დადგენილი წესით. სსიპ ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის

ქალაქ თბილისის N 220 საჯარო სკოლამ წარმოადგინა უკრაინის მოქალაქე მასწავლებელთა შერჩევის შიდა წესი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

ამონაწერით განათლების მართვის საინფორმაციო ბაზიდან დასტურდება, რომ დაწესებულებაში დასაქმებულ 6 პედაგოგს აქვს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ხოლო 27 პედაგოგს - უფროსი მასწავლებლის სტატუსი. დაწესებულებას ჰყავს 3 სპეციალური მასწავლებელი უფროსის სტატუსით; სკოლაში დასაქმებულია 2 მოწვეული მასწავლებელი, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები.

უკრაინულ სექტორზე დასაქმებულია 7 უცხო ქვეყნის მოქალაქე პედაგოგი, რომლებიც შერჩეულნი არიან დირექტორის 2022 წლის 2 სექტემბრის N1-58 ბრძანებით დამტკიცებული უკრაინულ სექტორზე მასწავლებლის შერჩევის წესის შესაბამისად.

დაწესებულებაში დასაქმებულია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, დარაჯი (2), ცეცხლფარეში (1), დამლაგებელი (4) და მუშა (1).

თანამშრომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტში აღწერილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

რეავტორიზაციის ვიზიტის დროს, თვალშისაცემი იყო სკოლის მიერ განხორციელებული მრავალფეროვანი პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც მოსწავლეების, მშობლების, კათედრებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ინიცირებითა და ჩართულობით არის განხორციელებული. ეს ყოველივე თანამშრომლობითი კულუტრისა და გუნდური მუშაობის გარეშე რთულად წარმოსადგენია.

პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტებში ნათლად არის განსაზღვრული თანამშრომლის ადაპტაციის, პერსონალის სოციალიზაციის, მმართველობით პროცესში ჩართვისა და მოტივაციის მექანიზმები. თანამშრომლები შეუზღუდავად სარგებლობენ სასკოლო მიზნებისთვის სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებითა და მატერიალური რესურსებით, ბიბლიოთეკით, სამასწავლებლოთი და სხვა რესურსებით.

აღსანიშავია, რომ დაწესებულებაში გუნდური და შეთანხმებული მუშაობა შეინიშნებოდა არა მარტო ცალკეული სექტორის ფარგლებში, არამედ ორივე სექტორზე დასაქმებულ თანამშრომლებს შორის. **ვიზიტის დროს, საგნობრივი ექსპერტების რჩევების შესაბამისად,** დადგა უკრაინული კურიკულუმების შესწორებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებზე უკეთ მორგების საჭიროება. ამ პროცესში

აქტიური მხარდაჭერა გამოხატეს ქართული სექტორის მასწავლებლებმა/ადმინისტრაციის წევრებმა. ისინი უკრაინელ კოლეგებს ეხმარებოდნენ ტერმინების და ცნებების უკეთ გააზრებაში, შინაარსებისა და ძირითადი საკითხების თარგმნაში, ტექნიკურ სამუშაოებში. აღნიშნული პროცესი ცოცხალი მაგალითი აღმოჩნდა დაწესებულებაში ორგანიზაციული კულტურის შესაფასებლად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი; სკოლის დათვალიერებისას დადგინდა, რომ შენობაში თვალსაჩინო ადგილას არის განთავსებული თანამშრომლებისა თუ მოსწავლეების განსაკუთრებული მიღწევების შესახებ ინფორმაცია, გამოფენილია განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების შედეგად შექმნილი პროდუქტი და ვიზუალური მასალა, არაერთი პოსტერი და პლაკატი. სკოლისთვის მნიშვნელოვანია, რომ მისი წარმატებები იყოს აღიარებული და სასკოლო საზოგადოებასა და თემს შორის გაზიარებული.

სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა;
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებული პირების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- 2022 წლის 2 სექტემბრის N1-58 ბრძანებით დამტკიცებული უკრაინულ სექტორზე მასწავლებლის შერჩევის წესი;
- შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- კონკურსის მასალები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- eSchool-ის ბაზიდან ჩამოტვირთული თანამშრომლების სია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით, დაწესებულების პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე დასწრება და დაკვირვება, სამუშაო შეხვედრების მოწყობა, გამოკითხვის ჩატარება, ინდივიდუალური საუბრების განხორციელება, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, სასწავლო ჯგუფებში გაწევრიანება, მონიტორინგის ფორმები. ამ მეთოდების გამოყენებით ხორციელდება საჭიროებების დადგენა, რომელთა საპასუხოდაც იგეგმება შესაბამისი განმავითარებელი ღონისძიებები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის შეფასებისა და თვითშეფასების მექანიზმი. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა მოიძიებს და უზრუნველყოფს შესაბამის ტრენინგებს კვალიფიკაციის ასამაღლებლად. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, შემდეგ კი შედეგების ანალიზის გეგმავს პერსონალის მიზნობრივ განვითარებას. ადამიანური რესურსების განვითარება გათვალისწინებულია სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში. სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან აქტივობებს, მასწავლებლები თავადაც იძიებენ ინფორმაციას ბაზარზე არსებული განვითრების ხელშემწყობი აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, დაწესებულება ჩართული იყო არაერთ საგანმანთლებლო პროექტში (ბილინგვური სწავლება, USAID-ის პროექტი "სკოლის ბაზაზე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება," თანჯერინის პროექტი და სხვ.), რომლის ფარგლებშიც მიიღო საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების რესურსები მატერიალური და ციფრული სახით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

ვინაიდან დაწესებულების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სწორედ პერსონალის განვითარებაა, სკოლის დირექცია აქტიურად უწყობს ხელს პედაგოგებისა და თანამშრომლების კარიერულ ზრდას. მასწავლებელთა უმრავლესობა არის წამყვანი და უფროსი სტატუსის მქონე პედაგოგი. სკოლის მასწავლებლებს აქვთ სრული მხარდაჭერა პროფესიული თუ კარიერული განვითარების გზაზე, რაც გამოიხატება მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობაში, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის დანერგვაში, რეგულარული სამუშაო შეხვედრებისა და სასწავლო ჯგუფების ორგანიზებაში, შემოქმედებითი და პროექტული სწავლების ხელშეწყობაში. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სკოლა ხელს უწყობს ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს, დაესწრონ სხვადასხვა ტრენინგ-სემინარს და პროფესიულ კურსებს.

კერძოდ, ბიბლიოთეკარმა გაიარა სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებული ტრენინგ-კურსი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორმა - საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგი სკოლის მოვლა-პატრონობის საკითხებთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა გაიარა ტრენინგ-კურსი "კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში."

პედაგოგები სისტემატიურად ეცნობიან სწავლების ახალ მიდგომებს/ მეთოდებს და ნერგავენ საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებელთა მიერ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა მიმართულია სწავლა- სწავლების უფრო მეტად სრულყოფაზე, გამრავალფეროვნებასა და ინფორმაციულობაზე. აღნიშნული გადამზადება ხელს უწყობს სკოლის პერსონალის კარიერულ ზრდას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლაში არის პედაგოგთა და თანამშრომელთა ძალზე შეკრული და პატივისცემაზე ორიენტირებული გუნდი და დამკვიდრებულია ურთიერთთანამშრომლობის, ურთიერთდახმარების, ურთიერთდასწრების და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა. სკოლის ადაპტაციის წესის მიხედვით განსაზღვრული მიდგომები კი ეხმარება ახალ თანამშრომელს თავი იგრძნოს სკოლის ღირებულ გუნდის წევრად და არ შეექმნას სამუშაოსთან ინტეგრაციის პრობლემა.

სოციალიზაციისთვის სკოლა ახალ თანამშრომელს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, ათვალიერებინებს სკოლას, წარადგენს პედსაბჭოზე და/ან შეხვედრაზე, აცნობს ორგანიზაციულ კულტურას (ტრადიციებს, დამოკიდებულებებს, ღირებულებებს), ამატებს სკოლის საკომუნიკაციო სოციალურ ქსელში, აცნობს სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და სამომავლო გეგმებს. ასევე თუ მასწავლებლის შემთხვევაში კათედრის

გამგე ადაპტაციის პერიოდში, უფრო აქტიურად ეკონტაქტება და საჭიროების შემთხვევაში აძლევს დამატებით რეკომენდაციებს. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი სასწავლო წლის მიმდინარეობისას იწყებს საქმიანობას ხდება მისი წარდგინება მოსწავლეთა წინაშე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. ჩამოყალიბებულია, რა დროს ვის მიერ შეიძლება იყოს გადაწყვეტილება მიღებული და რის საფუძველზე. ასევე გათვალისწინებულია, რომ დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. წახალისების მიზნით საახალწლოდ / სარვამარტოდ სკოლა პერსონალს უკეთებს მცირე ფასიან საჩუქრებს, გასულ წლებში პრემიით დაჯილდოვდა 5 მასწავლებელი, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სასკოლო ღონისძიების მომზადებაში, რომელიც სკოლისათვის აფხაზეთის გმირის, ზურაბ ძამუნაშვილის სახელის მინიჭებას ეძღვნებოდა. ასევე გასულ სასწავლო წელს სკოლის ყველა მასწავლებელი წახალისების მიზნით ერთჯერადად დაჯილდოვდა საახალწლო პრემიით. სკოლა მაქსიმალურად უჭერს მხარს თანამშრომელთა ინიციატივების განხორციელებას. საინტერესო იდეები და წამოწყებები იკვეთება პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებული პირების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;
- განხორციელებული პროგრამების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;**

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის მიზანია სკოლის მისიის განხორციელება და ემსახურება სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივი სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათი განვითარების ხელშეწყობას.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის მიხედვით, საგანმანათლებლო პროცესის მართვა და კონტროლი ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. მუდმივად ხორციელდება სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესება, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესება.

დაწესებულებას სხვადასხვა პროცედურულ დოკუმენტში გაწერილი აქვს პროცესების მონიტორინგისა და რევიზიის მექანიზმები, რაც საშუალებას აძლევს მას განსაზღვროს ნაკლოვანების მიზეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები. ნაკლოვანების არარსებობის შემთხვევაში, დასახოს არსებული ვითარების შენარჩუნების მექანიზმები. ამ პროცესის ნათელი მაგალითია, კათედრების წევრების მუშაობა, რომლებიც დასწრებისა და დაკვირვების საფუძველზე, მასწავლებლებს აძლევენ რჩევებს, აფასებენ მათ განმავითარებელი შეფასებით, ამოწმებენ რამდენად იქნა გათვალისწინებული გაცემული რეკომენდაციები და საჭიროების შემთხვევაში,

იღებენ დამატებით ზომებს როგორებიცაა ტრენინგებში ჩართვა, დამატებითი მუშაობა კათედრებზე, გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრება და სხვა.

სკოლა ხარისხის მართვის პროცესში მნიშვნელოვნად მიიჩნევს როგორც კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე სხვადასხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით პროცესების მართვას, როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, მოსწავლის ადაპტაციის წესი, სკოლაში ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების და სხვა წესები. ყოველივე აღნიშნულით ემსახურება სკოლაში მიმდინარე ძირითადი პროცესების შეუფერხებლად განხორციელებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე მუშაობენ საგნობრივი კათედრები, რომლებიც ქმნიან სასკოლო კურიკულუმებს და მათზე დაყრდნობით წარმართავენ სასწავლო პროცესს. აღნიშნული მიმართულებით ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა გეგმავს სხვადასხვა ტიპის აქტივობას. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;**

დაწესებულებაში იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული შიდა სასკოლო დოკუმენტების მიხედვით. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში, სკოლის შინაგანაწესში, საქმისწარმოების წესში, სკოლის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. პროცესების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. ხარისხის უზრუნველყოფის კონკრეტული პასუხისმგებლობები, რომლებიც ეკისრება პერსონალის ცალკეულ წევრებს, აღწერილია მათ ფუნქციებში. თანამშრომლებს გააზრებული აქვთ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და ისიც, თუ რა როლი ეკისრებათ სკოლისათვის მნიშვნელოვანი მმართველობითი პროცესების განხორციელებაში. გაცნობიერებულია, რომ სასწავლო პროცესის ყოველდღიური მართვა, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება და შენარჩუნება, მოსწავლეებზე ზრუნვა არის სკოლისათვის უმთავრესი მიზანი. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;**

სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის სისტემა, რომელიც რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესით. აღნიშნული წესით განსაზღვრულია მოსწავლეთა, თანამშრომელთა და მშობელთა მიერ

საჩივრის წარდგენის წესი, განხილვის პროცედურები და სხვა დეტალები. მოსწავლეებს, მშობლებსა და სკოლის ყველა თანამშრომლებს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები.

სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები კიდევ ერთხელ შეახსენებენ მოსწავლეებს მათ უფლებებსა და მოვალეობების სადამრიგებლო საათის დროს და მშობლებს აწვდიან ინფორმაციას სექტემბერში პირველ მშობელთა კრებაზე, სადაც აქცენტები კეთდება სასკოლო სასწავლო გეგმაზე, არდადეგებზე, შეფასების საკითხებზე, სახელმძღვანელოებზე, საჩივრების წესსა და რეაგირებებზე. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით. სასკოლო საზოგადოების წევრები სასკოლო დროს ან/და სკოლის ტერიტორიაზე, სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები.

დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით. თანამშრომელთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხორციელდება ხელშეკრულების პირობების გაცნობით, სკოლის შინაგანაწესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების გაცნობით დირექციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2024-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება/მუშაობის წესი;
- შინაგანაწესი;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

დაწესებულება აქტიურად წაახალისებს სასკოლო საზოგადოების ჩართვას სასკოლო პროცესებში.

ამისთვის სკოლა ორგანიზებას უწევს მშობელთა კრებებს, სამუშაო შეხვედრებს, გამოკითხვებს, კომუნიკაციას სხვადასხვა ციფრული არხების საშუალებით (ჯგუფები სოციალურ ქსელში, ონლაინ პლატფორმები). კანონმდებლობის ფარგლებში გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობრივი პირების მონაწილეობით იქმნება სკოლის საქმიანობის განმსაზღვრელი დოკუმენტები.

სასკოლო საზოგადოების ეფექტურად ჩართვის მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი; <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებში (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო) მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის წევრობა, უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას.

ამ მიზნით, სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებული სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ:

სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი.

პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებელი. პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, თავისი წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა.

საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, ახორციელებენ სხვადასხვა შემოქმედებითი ხასიათის მქონე დავალებების ანალიზს. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- კითხვარების ანალიზი, SWOT ანალიზი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების**

მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სსიპ ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლა სარგებლობს მანდატურის სამსახურით. სკოლის შენობის შემოსასვლელი კონტროლდება დარაჯების მიერ. მიმდინარეობს ვიზიტორთა აღრიცხვა. სკოლის შენობაში განთავსებულია ვიდეო-მეთვალყურეობის სისტემა. სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული საჯარო სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უზრუნველყოფილი პირი, რომელიც ზედამხედველობს ფიზიკური და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს:

- უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- მერიის ზედამხედველობის სამსახურის დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი კორესპონდენცია, რომ აღნიშნული სამსახურის დასკვნა წარმოადგენს ავტორიზაციის მიზნებისათვის შესაბამის მტკიცებულებას.
- 2025 წლის 27 ივლისის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა,** უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

დაწესებულების პირველ სართულზე განთავსებულია ექიმის კაბინეტი და დასაქმებულია ექიმი, რომელიც მომსახურებას უწევს სკოლის მოსწავლეებსა და დასაქმებულებს.

დათვალიერებით დადგინდა, რომ კაბინეტი აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის შესაბამისად. ასევე, აღსანიშნავია, რომ სკოლის ექიმს მოწესრიგებული აქვს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და აწარმოებს მედიკამენტების აღრიცხვას. გარდა ამისა, იგი გეგმიურად მართავს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს სკოლის მოსწავლეებთან და მშობლებთან. შეხვედრებზე განიხილება თემები მოტეხილობის, ჭრილობების და იმ დაზიანებების შესახებ, რომლებიც შესაძლოა განუვითარდეს სასკოლო საზოგადოების წევრებს სკოლაში გაკვეთილების მიმდინარეობის დროს. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც უზრუნველყოფს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას. ამ მიმართულებით, ასევე აქტიურად არიან ჩართულნი კლასის დამრიგებლები, დირექტორის მოადგილე და დირექტორი. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ამ მიმართულებით მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელზეც სისტემატურად მუშაობენ კლასის დამრიგებლები სადამრიგებლო საათზე. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს დირექტორს. მრჩეველთა საბჭოს ოქმებითა და სადამრიგებლო პროგრამებით დასტურდება, რომ სკოლა აწარმოებს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერ-ბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

N 3 ინდიკატორის აღწერიდან გამომდინარე, სკოლაში უზრუნველყოფილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო. სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, ჯანსაღი სასკოლო კლიმატი არის მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრების საწინდარი, რისთვისაც დაწესებულებაში არა ერთი შეხვედრა, სემინარი, სამსჯელო საკითხების განხილვა მოეწყო.

ზოგადად, დირექტორისა და პედაგოგების განცხადებით, სკოლაში ძირითადად ადგილობრივი თემის წარმომადგენლები ირიცხებიან, მოსწავლეთა ოჯახებს შორის სკოლის მიღმაც არსებობს კეთილგანწყობილი ურთიერთობა, რაც ასევე გრძელდება სასკოლო გარემოში. ამ ფაქტორიდან გამომდინარე, სკოლაში თითქმის არასდროს იქმნება კონფლიქტური და არასახარბიელო ატმოსფერო.

ვიზიტის დროს, ექსპერტებს მიეცათ შესაძლებლობა, გასაუბრებოდნენ **სოციალურ მუშაკს,** რომელმაც წარმოადგინა სამუშაო გეგმა, ასევე ისაუბრა იმ ღონისძიებებზე, რაც სკოლაში ხორციელდება მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქო-ემოციური უსაფრთხოების კუთხით. აღსანიშნავია, რომ იგრძნობა სკოლის სოციალური მუშაკის, დამრიგებლებისა და სკოლის პერსონალის შეთანხმებული მუშაობა, ყველა რგოლი ჩართულია მოსწავლეზე ორიენტირებული სერვისების განხორციელებაში, რაც მოსწავლეთა ჯანსაღი განვითარებისათვის შესაფერისი გარემოს შექმნის საწინდარია.

უკრაინული სექტორის პროგრამის ფარგლებში, სკოლაში დასაქმებულია ფსიქოლოგი, რომელიც მნიშვნელოვნად ეხმარება მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას, სწავლისა და ქცევის სირთულეების მართვას. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. სკოლაში დასაქმებულია 4 დამლაგებელი, თუმცა სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად არიან ჩართულნი სკოლაში სისუფთავისა და წესრიგის შენარჩუნებაში. **სკოლაში თვალშისაცემია სისუფთავე, მოვლილი გარემო, ორგანიზებული ნივთები და სასკოლო ინვენტარი.**

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, რომელშიც დაკონკრეტებულია თუ რა სახის მონაცემები მუშავდება კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმებული პირების მიერ. პერსონალური მონაცემების დაცვა სკოლის მხრიდან გააზრებულია როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტი. სკოლა იცავს როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/მეურვის, ასევე - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის პერსონალური ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ სკოლამ პედსაბჭოს სხდომაზე კოლეგებს გაუზიარა პრეზენტაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის შესაბამისი რეგულაციების შესახებ.

სკოლა ელოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის კადრის აყვანას შესაბამის რესურს ცენტრში, რომელიც მოემსახურება რაიონის სკოლებს და პერსონალური მონაცემების დაცვის და მონიტორინგის წესს შეიმუშავებს. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არა ავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. კომპიუტერებში ჩაწერილია ანტივირუსული პროგრამები. ადმინისტრაციის სამუშაო კომპიუტერებს, სადაც ინახება პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციები, ადევს პაროლი, რომლის გამოყენებაც შეუძლია მხოლოდ იმ თანამშრომელს, რომლის სამუშაოდაც არის განკუთვნილი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების შეფასებას და ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე. თუმცა, მიმდინარე წელს სკოლა გეგმავს გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები და დაკვირვების სტრუქტურირებული მექანიზმები. სკოლის დირექტორთან და დირექტორის მოადგილესთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლისათვის მნიშვნელოვანია აღნიშნულ პროცესი იყოს სისტემური და არა ერთჯერადი, რათა შედეგების ანალიზის საფუძველზე განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე;
- სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი კორესპონდენცია შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ მერიის ზედამხედველობის სამსახურის დასკვნის თაობაზე;
- მერიის ზედამხედველობის სამსახურის დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ;
- უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შინაგანაწესი;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;

- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სადამრიგებლო პროგრამები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საჯარო რეესტრის 06.02.2020 წლის ამონაწერით, თბილისის N 220 საჯარო სკოლის მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობია 3722.00 კვ.მ. არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო გეგმა-ნახაზის მიხედვით განლაგებულია 2 შენობა - სასწავლო კორპუსი და საქვაბე - სულ 4212 კვ.მ. სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით, სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას სარგებლობაში გადაეცა არსებობის ვადით, კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით. სკოლის შენობა სამსართულიანია. სასწავლო პროცესი ორ ცვლაში მიმდინარეობს. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის და საფეხურის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფითა და კარადით. კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების შესაძენად საჭირო თანხა. სკოლას აქვს სასწავლო პროცესის მხარდაჭერისათვის საჭირო ციფრული რესურსი: პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები,

პრინტერები, პროექტორები, ეკრანები და ტელევიზორები. სკოლის შენობაში არის სივრცე, სადაც შესაბამისი ტექნიკა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

დაწესებულების **პირველ სართულზე** განთავსებულია საკლასო ოთახები და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სველი წერტილები, ექიმის კაბინეტი, დამხმარე პერსონალის ოთახი, მანდატურის ოთახი, ბუფეტი და სასადილო სივრცე, რომელსაც სკოლა ხშირად იყენებს სხვადასხვა ღონისძიებისათვის, დირექტორის კაბინეტი, საქმისმწარმოებლის ოთახი, ბუღალტრის ოთახი. **მეორე სართულზე** განთავსებულია სპორტული დარბაზი, სველი წერტილებით, საშხაპეებით, გასახდელებით და მასწავლებლის ოთახით, საკლასო ოთახები, რესურსოთახი, სამასაწავლებლო. **მესამე სართულზე** განთავსებულია სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი სხვადასხვა ღონისძიებების და აქტივობების გასამართად, საკლასო ოთახები, სველი წერტილები, ბიბლიოთეკა და ისტ-ის კაბინეტი. სკოლის შენობის შესასვლელში მოწყობილია თანამედროვე პანდუსი ორმხრივი მოაჯირებითა და შესაბამისი დახრილობით. სკოლის შენობაში კი დამონტაჟებულია ლიფტი სართულებზე გადასაადგილებლად. სამივე სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილები.

კომპიუტერული კაბინეტი სრულად აღჭურვილი და კეთილმოწყობილია; საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას აქვს საპრეპარატორო და ონკანი, მაგრამ არ არის ამწოვი კარადა რეაქტივებისთვის. სკოლამ მიმართა ინფრასტრუქტურის სააგენტოსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ამწოვი კარადისა და ლაბორატორიის სრულყოფილის აღჭურვის მოთხოვნით. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლა ფლობს ახალ შენობას, რომლის მშენებლობა დასრულდა და გაიხსნა 2020 წელს. საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო რაოდენობის მერხებით, დაფებით. საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლაში არის ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს სასკოლო სახელმძღვანელოებს, აგრეთვე თანამედროვე, ილუსტრირებულ, მხატვრულ, შემეცნებით და სამეცნიერო ლიტერატურას. ლაბორატორია აღჭურვილია საბუნებისმეტყველო საგნების – ქიმია, ფიზიკა ბიოლოგია-ლაბორატორიის კომპლექტით. მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ჩაატარონ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცდები. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია გამართული კომპიუტერებით და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. დაწესებულება ფლობს პროექტორებსა და მონიტორებს, რომლებსაც რეგულარულად იყენებენ პედაგოგები. ლეპტოპები და პერსონალური კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტ-ქსელში. სკოლაში არის სამედიცინო კაბინეტი, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა მრავალფეროვან შესაძლებლობას, რომ განხორციელდეს არაერთი სასკოლო პროექტი. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის საბიბლიოთეკო რესურსი აკმაყოფილებს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ბიბლიოთეკაში არის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები სასწავლო შემეცნებითი წიგნების/რუკების სახით. ბიბლიოთეკაში ინახება მშობლიური და საზღვარგარეთის ლიტერატურა, ენციკლოპედიები, პერიოდული გამოცემები და მეთოდური ლიტერატურა მასწავლებლებისთვის. ოთახში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. არსებობს წიგნების გაცემისა და აღწერის ჟურნალი. ბიბლიოთეკაში წიგნები აღრიცხულია როგორც მატერიალურად, აგრეთვე ელექტრონულადაც. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლისათვის ინკლუზიურ გარემოს. სკოლას აქვს მატერიალური რესურსებით აღჭურვილი რესურს ოთახი. სკოლის შესასვლელში ადაპტირებულია - დამონტაჟებულია პანდუსი, შესაბამისი მოაჯირით. სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი, შენობაში დამონტაჟებულია თანამედროვე ლიფტი. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლას მნიშვნელოვნად მიაჩნია მოსწავლეებისათვის სკოლაში იყოს სოციალიზაციისათვის შესაფერისი გარემო და ინფრასტრუქტურა, რომელიც მოემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში სოციალიზაციას ხელს უწყობს დერეფნისა და საკლასო ოთახების კედლებზე გამოკრული მოსწავლეთა ნამუშევრები, საკლასო/სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები და მოსწავლეების ხელით შექმნილი სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები. ღონისძიებები ასახულია სოციალურ ქსელში - facebook გვერდზე.

სკოლის ფართობი მაქსიმალურად ეფექტურად არის გამოყენებული. სოციო-კულტურული და სასწავლო-შემეცნებითი აქტივობებისთვის, სკოლა იყენებს სააქტო დარბაზს, სპორტულ დარბაზს, ბიბლიოთეკას, კომპიუტერულ ლაბორატორიას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტს. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- საკადასტრო ნახაზი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ინვენტარიზაციის კომისიის ბრძანება;
- ინვენტარიზაციის ოქმი;

- facebook-ის გვერდი;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

დაწესებულებაში არსებობს ყველა საშუალება იმისათვის, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება წახალისებული იყოს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პროცესში.

სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერისა და ქსეროქსის აპარატით. სკოლაში ხელმისაწვდომია მუდმივი ინტერნეტი როგორც ქსელური ისე უკაბელო (WI-FI) სახით.

დაწესებულებაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც კომპიუტერების გარდა აღჭურვილია პროექტორით და ეკრანით. გარდა ამისა, <u>საკლასო ოთახების უმრავლესობა აღჭურვილია პროექტორითა და ეკრანით.</u>

დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, სკოლაში ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და კომპიუტერიზაცია ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას, საშუალებას აძლევს მათ ინფორმაციის პასიური მიმღებნი კი არ იყვნენ, არამედ თავად მოახდინონ სასწავლო შინაარსის მოდიფიცირება და შექმნა. უვითარებს მათ ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და შეფასების, კომუნიკაციის და თანამშრომლობის უნარებს; სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვანი მეთოდური და სასწავლო ელექტრონული რესურსების

ხელმისაწვდომობას; ელექტრონული ლაბორატორიების გამოყენებას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის; პედაგოგებს შორის ინფორმაციისა და მასალების გაცვლას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლა უზრუნველყოფს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მათ შორის ელექტრონული რესურსების, თანაბარ ხელმისაწვდომობას სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის. სკოლას დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეავტორიზაციის ვიზიტის დროს, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, მათ აქვთ შესაძლებლობა შეუფერხებლად გამოიყენონ ინფორმაციული ტექნოლოგიები შემეცნებითი და არაფორმალური აქტივობების ფარგლებში განსახორციელებელი მიზნებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმიანობის წესი. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის N951 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის'' შესაბამისად, სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. აღნიშნული წესი განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების

სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს, რომელიც ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ თანამშრომელსა და თუ მოქალაქეზე.

სკოლა უზრუნველყოფს ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად, დროულად მომზადებას, გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. სკოლის საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე, როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური სახით: შემოსული დოკუმენტაცია; გასული დოკუმენტაცია; შიდა დოკუმენტაცია; საქმისწარმოების პროცესში გამოყენებული ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი ორი ფორმისაა: ელექტრონული და მატერიალური, ხოლო შემოსული დოკუმენტაცია, მხოლოდ ელექტრონული. საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას სკოლაში ახორციელებს საქმისმწარმოებელი. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სარგებლობს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით - Eflow, სადაც ხდება საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დოკუმენტების - ბრძანებების, წერილების, სამსახურეობრივი ბარათების და სხვ. - რეგისტრაცია. სკოლა ასევე სარგებლობს eSchool.emis.ge ბაზით და თიმსის პორტალით. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ში შეყვანილია სკოლის ყველა თანამშრომლის, მოსწავლისა და მშობლის მონაცემები, რომლებიც განახლებადია. დაწესებულება სისტემაში ახორციელებს განრიგის შექმნას (გაკვეთილების ცხრილი სემესტრის მიხედვით) საგნების განაწილებას, კლასების შექმნას, ლიმიტების მითითებას. დირექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, სისტემაში აისახება მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება, კლასის/დონის დაძლევა. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. დაწესებულება მათ აწვდის შესაბამის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას. სკოლის მაკონტროლებელი ორგანო არის საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტრო. სამინისტროსა და სკოლას შორის შუალედური რგოლია რესურსცენტრი, რომლის დახმარებითაც ვურთიერთობთ სამინისტროსთან. სკოლა მუდმივად ცდილობს შემოსულ წერილებში მოთხოვნილი ინფორმაცია საჭირო დროის დაცვით გადაეგზავნოს ადრესატებს. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებლ უწყებებთან ანგარიშებისა სკოლა ურთიერთობს სხვადსხვა უწყებასთან.

სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საკანონმდებლო მაცნეში აქვეყნებს და საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მონაცემებს.

ასევე, დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარუდგენს ხელშეკრულების შესრულების ანგარიშებს ელექტრონულად, CMR მოდულის მეშვეობით ხელშეკრულების შესრულებიდან 10 დღის ვადაში (თუ შესყიდვების გეგმა აღემატება 50000 ლარს) ან არაუგვიანეს მომდევნო წლის 30 იანვრისა (თუ შესყიდვების გეგმა არ აღემატება 50000 ლარს). **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- საქმისმწარმოებელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები ჩარიცხვის, მობილობის, დონის დაძლევის შესახებ;
- ამონაწერი საინფორმაციო სისტემიდან eSchool.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; სკოლა აქტიურად სარგებლობს სოციალური ქსელით: https://www.facebook.com/220skola და ვებ გვერდით: https://skolebi.emis.ge/schools/2570?schoolName

გარდა ამისა, სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს სკოლის ელექტრონული ფოსტის და სკოლის ფოიეში განთავსებული საინფორმაციო დაფის საშუალებით. ამავე მიზნით, სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, „თიმსის“ საგანმანათლებლო პლატფორმას, სოციალურ ქსელს, რომელიც მეტად აქტუალურია მშობლებთან საკომუნიკაციოდ.

საკომუნიკაციო საშუალებებით ხორციელდება სასკოლო საზოგადოების დროული ინფორმირება სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. დაწესებულებაში შემუშავებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მექანიზმი. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ევალება სკოლის ვებგვერდზე/ვებგვერდებზე/სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის განთავსებამდე, მოიძიოს, შეამოწმოს ინფორმაციის სანდოობა, უტყუარობა და სკოლის სახელით გავრცელების საჭიროება/აუცილებლობა; ასევე არ შექმნას, არ გაავრცელოს და არ დაუშვას სკოლის სახელით გავრცელდეს, ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია; <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლა იყენებს და ასევე გეგმავს ონლაინ კითხვარების უფრო ფართოდ დანერგვას თანამშრომლებში, მშობლებში, მოსწავლეებში ინფორმაციის მოგროვებისა და დამუშავების პროცესის გამარტივების მიზნით; სკოლა მიმართავს ციფრული სახით მიღებული ინფორმაციის დამუშავებას. დაწესებულებამ წარმოადგინა არაერთი ონლაინ კითხვარი და კვლევა, რომლის შედეგებიც აისახა სკოლის განვითარების გეგმაში. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას შექმნილი აქვს ვებ-გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/2570?schoolName რომელზეც განთავსებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია ქართულ ენაზე.

სკოლას ასევე აქვს სოციალურ გვერდი, რომლეზეც ინფორმაცია იდება ქართულ ენაზე, თუმცა გვერდში ჩაშენებულია უკრაინული სექტორის ფეისბუქგვერდი. <u>ვიზიტის დროს, დაწესებულებას მოქმედ ვებ გვერდზე არ ჰქონდა განთავსებული ინფორმაცია უკრაინულ ენაზე.</u>

შენიშვნა: დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის გაცნობით დგინდება, რომ სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის თარიღად განსაზღვრა მიმდინარე წლის 20 ნოემბერი. ვებ-გვერდის შემოწმებით დადგინდა, რომ სკოლის ვებ-გვერდზე ძირითადი ინფორმაცია უკრაინულ ენაზე ნამდვილად არის განთავსებული. რის შედეგადაც ინდიკატორი გადავიდა სრულ შესაბამისობაში. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზეც განთავსებულია შემდეგ ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, და საკონტაქტო ინფორმაცია. გამოქვეყნებულია შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრასთან დაკავშირებით;
- დაწესებულების ვებ გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/2570?schoolName
- დაწესებულების გვერდი სოციალურ ქსელში: https://www.facebook.com/220skola
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მექანიზმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სკოლის შემოსავლის წყარო არის ვაუჩერული დაფინანსება და სსსმ მოსწავლეების პროგრამული დაფინანსება. სკოლის შემოსავლის ძირითადი ნაწილი განკუთვნილია მასწავლებლების, ტექ.პერსონალის და თანამშრომლების ხელფასებისა და კომუნალური ხარჯების გასასტუმრებლად. სკოლას აქვს შესყიდვების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც პერიოდულად ხორციელდება კორექტირება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ასევე, სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული და დამტკიცებული 2025 წლის ბიუჯეტი. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის, ეფექტიანი სისტემა. ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება გასული წლის მონაცემების დამუშავებით, გათვალისწინებულია ასევე წინა წლის შესყიდვების გეგმის შესრულების ხარჯვითი ნაწილი, განსაზღვრულია ახალი საჭიროებები, გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტის ოდენობა, რაც რჩება ხელფასის, კომუნალური და სხვა აუცილებელი ხარჯების შემდეგ. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. გეგმის შექმნამდე სკოლა ითვალისწინებს კათედრების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმებისა და პროექტების განსახორციელებელი საჭირო რესურსების შესყიდვების შესახებ. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის ბიუჯეტი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი (ბიუჯეტის დამტკიცებაზე);
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- წლიური ბალანსი;
- შესყიდვების დოკუმენტაცია.

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა სხვადასხვა ზომებით, რომლებიც სკოლაში მოსწავლეთა უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის გარანტიას წარმოადგენს. მოსწავლეებისთვის სკოლაში შექმნილია თანაბარი პირობები განათლების მისაღებად. სკოლის ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო რესურსებით მოსწავლეები სარგებლობენ დისკრიმინაციის გარეშე და თანაბრად, სკოლის მიერ შემუშავებული სხვადასხვა მატერიალური რესურსით სარგებლობის წესის შესაბამისად. დაცულია მოსწავლეთა უფლებები - უფლებების დაცვის გარანტიას წარმოდგენს ის ღონისძიებები, რასაც სკოლა ატარებს საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის დაცვის კუთხით, სამეურვეო და მრჩეველთა საბჭოს აქტიური ფუნქციონირებითა და შინაგანაწესის დაცვის კონტროლის გზით. სამეურვეო საბჭოსგან სკოლა იღებს რეკომენდაციებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე და განიხილავს სკოლის წინაშე არსებულ გამოწვევებს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლის კანონით უზრუნველყოფილი უფლებების დაცვას, როგორიცაა მაგალითად დისციპლინირებული გარემო, უსაფრთხო გარემო. სკოლაში შემუშავებულია საგნობრივი სტანდარტის დაძლევის და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით სარემედიაციო მომსახურეობის პოლიტიკა, რომელიც მოიცავ სწავლების სამივე საფეხურს. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, სტატუსის აღდგენის, უცხოეთში მიღებული განათლების აღაირების წესები, რითაც უზრუნველყოფილია მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვა და აქტიური მონაწილეობა და განათლების უფლების რეალიზაცია. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ დამრიგებლების მეშვეობით უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება მოსწავლის ქცევის წესების, შინაგანაწესის, უსაფრთხოების წესების შესახებ. კლასის საათის განმავლობაში დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს სკოლის შინაგანაწესს, ბავშვთა უფლებებს და სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს; კლასების დამრიგებლები რეგულარულად მართავენ მშობელთა კრებებს მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით.

მშობლებს აქვთ შესაძლებლობა კვირის დადგენილ დღეს შეხვდნენ სკოლის წარმომადგენლებს – დირექციას, ადმინისტრაციას ან კლასის დამრიგებელს – და მიიღონ მათთვის საინტერესო საკითხებზე დეტალური ინფორმაცია.

სკოლის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტები და დოკუმენტები ემსახურება მოსწავლის უფლებების რეალიზებისთვის გარანტიების შექმნას. მათ შორის სკოლის შინაგანაწესი, რომელსაც სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს, სკოლაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და განთავსებულია სკოლის პორტალზე.

სრულწლოვან მოსწავლეს ან არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს თავისი უფლებების დაცვის მიზნით შეუძლია, გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო გადაწყვეტილებები. დისციპლინური გადაცდომების შემთხვევაში განხორციელებული დისციპლინური დევნის პროცედურა ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს.

სადამრიგებლო საათის/კლასის საათის ფარგლებში მოსწავლეებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია სკოლის მიერ მიღებული გადაწყვტილების გასაჩივრების წესისა და პროცედურების შესახებ. ამისათვის, სკოლას შემუშავებული აქვს საჩივრების განხილვის წესი.

სკოლა ყველა ახალ მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს/ მშობელს აცნობს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე აცნობს უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის საფუძვლებს. სკოლის მოსწავლეს უფლება აქვს მის მიერ არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში, წამოაყენოს წინადადებები, რაც სკოლის მხრიდან ყოველთვის მხარდაჭერილია.

მოსწავლეთა უფლებებისა და რეგულაციებისა ამსახველი დოკუმენტაცია გამოქვეყნებულია სკოლის შენობაში, ყველასთვის ხელმისაწვდომ და თვალსაჩინო ადგილას. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მშობელს. სკოლასა და მშობელს შორის ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის უფლებები და მოვალეობები, სკოლის მიერ

მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადები და შეწყვეტის პირობები და სხვა მნიშვნელოვანი პირობები. მშობელსა და სკოლას შორის ასევე გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შესახებ, სადაც აღწერილია მშობლის, მოსწავლის და სკოლის უფლება-მოვალეობები. აღნიშნულის ფარგლებშიც ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით. ხელშეკრულებები შეესაბამება კანონმდებლობას და ემსახურება მოსწავლის ხარისხიანი განათლების მიღებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ლაბორატორიებით სარგებლობის წესი;
- მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესი;
- გასაჩივრების წესი;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- საინფორმაციო დაფა;
- მოსწავლეთა რემედიაციის წესი;
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი. აღნიშნულ წესში გაწერილია მოსწავლის პირველ კლასში მიღების წესები და ეტაპები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, სხვადასხვა კლასში მოსწავლის მიღების წესი, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვა,

მობილობის პროცედურა და სტატუსის შეჩერება-აღდგენის პირობები. საჯარო ინფორმაცია სკოლის თემისთვის განთავსებულია სკოლის პორტალზე, ინფორმაციის მიწოდება ასევე ხორციელდება დამრიგებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის მიერ.

სკოლის მოსწავლეების მშობლები დამრიგებლებისა და სკოლის დირექციის მხრიდან ინფორმირებულები არიან მობილობის განხორციელების პროცედურების შესახებ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანხმობით, განსხვავებულ ვადებში ჩარიცხვისა და შეზღუდულ ვადაში მობილობის განხორციელების შესაძლებლობის არსებობის შესახებ.

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურების შესახებ ინფორმაციასა და წარსადგენი დოკუმენტაციების ნუსხას დაინტერესებულ პირებს აწვდის სკოლის საინფორმაციო მენეჯერი.

კლასის დამრიგებლები მშობლებს აწვდიან ინფორმაციას სკოლაში მოსწავლის სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურების შესახებ ინდივიდუალურ შეხვედრებზე, სატელეფონო კომუნიკაციისას, სოციალური ქსელის მეშვეობით და მშობელთა კრებებზე. დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებს ასევე აწვდიან ინფორმაციას გაცდენების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგის, კერძოდ, სტატუსის შეჩერების შესახებ. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, მოსწავლეთა მიღება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების ფარგლებში. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების მიხედვით დადგენილ ვადებში და შესაბამისი პროცედურებით ხორციელდება სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ გამოცემული შესაბამისი ბრძანებები. მოსწავლეთა ჩარიცხვას არეგულირებს სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი. ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის N193/ნ ბრძანების შესაბამისად, მოსწავლეები სარგებლობენ მობილობის უფლებით. სკოლის მოსწავლეების მშობლები დამრიგებლებისა და სკოლის დირექციის მხრიდან ინფორმირებულები არიან მობილობის განხორციელების პროცედურების შესახებ.

სკოლის მოსწავლის სკოლიდან ამორიცხვა ხდება მშობლის განცხადების საფუძველზე მობილობის პროცესის განხორციელებისას ან მხოლოდ საშუალო საფეხურის დაძლევის შემდეგ. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სასწავლო პროგრამები (საგნობრივი კურიკულუმები), რის შესახებაც კლასების დამრიგებლები მშობელთა კრებებზე აწვდიან ინფორმაციას მშობლებს და აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილებს. საინფორმაციო შეხვედრები ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, სხვადასხვა ღონისძიებებისა და დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ. კომუნიკაციის კუთხით, აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელი, დახურული ჯგუფები და სხვა ონლაინ პლატფორმები.

დაწესებულებაში მიმდინარეობს მრავალფეროვანი კლასგარეშე მუშაობა. წარმოდგენილია შემეცნებითი და სახალისო ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია, მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ ერთად შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტები; სასკოლო გარემო გაფორმებულია საგაკვეთილო და საკლუბო მუშაობის დროს შექმნილი საინფორმაციო პლაკატებით, პოსტერებით, სამხატვრო ნამუშევრებით. სკოლის ერთ-ერთ დერეფანში მოწყობილია საგამოფენო სივრცე. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო სერვისების და დამატებითი აქტივობების შესახებ ინფორმაციის ყველასათვის თანაბარ ხელმისაწვდომობას. მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სკოლა ინფორმაციას ასევე აწვდის კლასების დამრიგებლების მეშვეობით, რომლებიც მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას.

სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. შესაბამისად, სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ყველა ზემოაღნიშნული ინფორმაცია თავსდება სკოლის სოციალური ქსელსა და საჯარო ინფორმაციის გამოსაქვეყნებელ დაფაზე.

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს იმ საგნობრივ პროგრამებს და სასკოლო აქტივობებს, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესი;
- სკოლის საინფორმაციო დაფა;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის ბრძანებები;
- მშობელთა კრების ოქმები.

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სკოლამ შეიმუშავა მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელშიც გაწერილია სკოლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები. სკოლაში ჯანსაღი გარემოს შექმნაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი, თუმცა განსაკუთრებული როლი მასწავლებლებსა და კლასის დამრიგებლებს აკისრიათ. მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესში მათი ჩართულობით იქმნება მზრუნველი გარემო, რაც წინაპირობაა სკოლაში უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნისთვის. სკოლა განსაკუთრებულად ემზადება პირველკლასელთა სკოლაში მიღებისათვის.

სსსმ მოსწავლის მიღების შემთხვევაში, სკოლის დირექცია დეტალურ ინფორმაციას აწვდის მშობელს ინკლუზიური განათლების მუშაობის პრინციპების შესახებ, აცნობს სპეც.მასწავლებლესა და სკოლაში არსებულ რესურს ოთახს.

სხვა სკოლიდან მოსწავლის გადმოსვლის შემთხვევაში, დამრიგებელს აქვს განსაკურებული როლი, რომელიც ამზადებს მიმღებ კლასს მოსწავლის დასახვედრად; ასევე, შეისწავლის მოსწავლის ხასიათს და ინტერესებს, ეხმარება მას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში და სასკოლო თემთან ინტეგრაციაში. ადაპტაციის წესით განსაზღვრულია სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

კლასის დამრიგებლები ახალ მოსწავლეებს ეხმარებიან სკოლაში ადაპტაციის პროცესში, კერძოდ, დამრიგებლები ხელს უწყობენ მოსწავლეების გაცნობასა და დამეგობრებას. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს წარუდგენს თანაკლასელებს და აცნობს საგნის მასწავლებლებს. გარემოს გასაცნობად დამრიგებელი მოსწავლეს ათვალიერებინებს სკოლის შენობას და სასკოლო რესურსებს. აცნობს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ლაბორატორიით და სასწავლო რესურსებით სარგებლობის წესებს.

პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით ეწყობა საზეიმო მიღება. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა მუდმივად ცდილობს გააკონტროლოს სწავლის ხარისხი და ხელი შეუწყოს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა დამატებითი კონსულტირების გზით. მოსწავლის აკადემიური მიღწევების, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ მშობლის ინფორმირება ხდება ინდივიდუალური შეხვედრების, ტელეფონის, ელექტრონული ჟურნალის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით. სკოლის ელექტრონულ ჟურნალში მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე წვდომა აქვს როგორც მოსწავლეს ისე მშობელს. შესაბამისად, მშობელს ეძლევა შესაძლებლობა გააკონტროლოს თავისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია და დაგეგმოს გაუმჯობესების გზა. აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით საგნის მასწავლებლები და დამრიგებლები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლეებს უწყვეტ რეჟიმში აწვდიან დროულ უკუკავშირს, რომელშიც აქცენტი კეთდება მოსწავლის ძლიერ მხარეებსა და გასაუმჯობესებელ მიმართულებებზე.

გარდა ამისა, მოსწავლეებს, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ დამატებითი დავალებები და უტარდებათ დამატებითი კონსულტაციები და მეცადინეობები, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად. იმ მოსწავლეთათვის, რომლებისათვისაც საკონსულტაციო მომსახურებით ვერ ხერხდება საბაზისო აკადემიური უნარების განვითარება, დაწესებულებას

შემუშავებული აქვს **რემედიაციის წესი.** აღნიშნული წესი განსაზღვრავს საგნობრივი სტანდარტის დაძლევის რისკის ქვეშ მყოფ მოსწავლესთან მუშაობის პოლიტიკას. მიუხედავად გაწეული სამუშაოებისა, თუ მაინც ვერ დაძლია მოსწავლემ ეროვნული სასწავლო გეგმით კონკრეტული საგნისთვის განსაზღვრული პროგრამა, მოსწავლეს დაენიშნება საშემოდგომო გამოცდა. საშემოდგომო გამოცდისთვის სკოლა დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს უნიშნავს საკონსულტაციო შეხვედრებს, დამატებით აძლევს დავალებებს და მითითებებს.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს სურს სემესტრული ნიშნის ამაღლება, შესაბამის ვადებში მშობლის მომართვის საფუძველზე სკოლა მოსწავლეს უნიშნავს სემესტრულ გამოცდას. გამოცდის ჩატარებამდე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლისთვის კონსულტაციების ჩატარებას შესაბამისი განრიგის მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეებს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მოსწავლეებს და მათ მშობლებს სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ შესახებ. მაგალითად, ექსტერნატის, სემესტრული და წლიური გამოცდების დანიშვნის, მობილობისა და სკოლაში დაგეგმილი ნებისმიერი ტიპის ღონისძიების შესახებ, შიდა სასკოლო მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესახებ და სხვა. კლასის დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები გონივრულ ვადებში კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

რეავტორიზაციის ვიზიტის დროს, სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ იგი ღიაა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინიციატივების მხარდასაჭერად. ინიციატივების არსებობის შემთხვევაში მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა მიმართონ დირექტორს ან დირექტორის მოადგილეს, ასევე მოსწავლეებს და მშობლებს აქვთ უფლება ინიციატივები დააყენონ დამრიგებლის წინაშეც. სკოლა ატარებს მოსწავლეთა გამოკითხვებს სპეციალურად მათთვის შედგენილი კითხვარების მეშვეობით, რათა განისაზღვროს სკოლის საჭიროებები, გასაუმჯობესებელი მხარეები და მოსწავლეთა ინტერესის სფეროები.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა კლუბები მრავალფეროვანი მიმართულებით: ეკო კლუბი ახორციელებს გარემოს დაბინძურების საწინააღმდეგო აქციებს; კლუბი - "კარავის" ფარგლებში მოსწავლეები ამზადებენ ხელნაკეთ ნივთებს, რომლებიც გამოფენილია სკოლის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილას. ღონისძიება "საშობაო კარნავალი" და სხვა მსგავსი ტიპის ღონისძიებები,

მოსწავლეთა ინიციატივით ხორციელდება და ითვალისწინებს როგორც საქართველოს, ისე უკრაინის მოქალაქე მოსწავლეთა ინტერესებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სადამრიგებლო საათის ფარგლებში, დამრიგებლები ცდილობენ მოსწავლეთა პრობლემების იდენტიფიცირებას და გადაჭრის გზების შეთავაზებას. სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენას სპეციალურად შედგენილი მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარების მეშვეობით, რომლის ანალიზის საფუძველზეც გეგმავს გასატარებელი ღონისძიებებს მოსწავლეთა მოთხოვნებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, მოსწავლეთა და მშობელთა მხრიდან მიღებული უკუკავშირი სკოლას დაეხმარება მომავალში მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული დამატებითი წრეებისა და კლუბების ჩამოყალიბებაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- საკლუბო მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- განხორციელებული პროექტების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას სკოლა უზრუნველყოფს პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების შესახებ მოსწავლეების ინფორმირების საშუალებით. სკოლაში ეწყობა შეხვედრები უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან, სადაც ისინი მოსწავლეებს აცნობენ ინფორმაციას თავიანთი უნივერსიტეტებისა და პროგრამების შესახებ. ასევე, სკოლის ორგანიზებით ხორციელდება ვიზიტები კოლეჯებსა და დაწესებულებებში, რათა IX-XII კლასის მოსწავლეები უკეთ

გაეცნონ სხვადასხვა პროფესიებს და გაუადვილდეთ არჩევანის გაკეთება. გაფორმებულია მემორანდუმები პროფესიულ კოლეჯთან და უმაღლეს სასწავლებლებთან.

გარდა ამისა, <u>რეავტორიზაციის ვიზიტის დროს დადგინდა,</u> რომ სკოლაში ხშირად იწვევენ წარმატებულ სკოლადამთავრებულებს, რომლებიც მოსწავლეებს უზიარებენ თავისი გამოცდილების გზას, პროფესიულ მიღწევებს, აძლევენ რჩევებს სკოლის შემდგომი განათლებისა და კარიერული წინსვლის შესახებ. <u>თვითმმართველობის წევრებმა აღნიშნეს,</u> რომ ვიზიტამდე რამდენიმე ხნით ადრე, მათ სკოლაში მოიწვიეს ორი სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელი; გაიმართა საინტერესო შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული სასწავლებლების მიერ დაგეგმილი ღია კარის დღეების შესახებ, რათა მოსწავლეებმა მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია აღნიშნული დაწესებულებების მიერ შეთავაზებული სიახლეებისა და საგანმანათლებლო სერვისების შესახებ.

მოსწავლეების და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას სკოლა ახორციელებს მშობელთა კრებებზე, სადამრიგებლო საათის ფარგლებში, სხვა საკომუნიკაციო ჯგუფებში. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

<u>სკოლის დირექციამ გასაუბრებისას განმარტა,</u> რომ განხორციელდა 2024-2025 წლის მომსახურების შედეგების ანალიზი. ყველაფრის გათვალისწინებით დაიგეგმა მიმდინარე წლის აქტივობები მოსწავლეთა კარიერული განვითარების დახმარების თვალსაზრისით.

სკოლა გეგმავს კურსდამთავრებულებისა და მათი მშობლების გამოკითხვას კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში გაწეული მომსახურების შეფასების შესახებ. მიღებულ უკუკავშირს გაითვალისწინებს შემდგომი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

- დამრიგებლის ანგარიშები;
- პროფესიული და უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. ამჟამად სკოლაში ირიცხება 19 სსსმ მოსწავლე. აქედან, 1 მოსწავლე არის შშმ პირი. სკოლას ჰყავს 3 სპეციალური (სტატუსით უფროსი) მასწავლებელი და 6 სსსმ პირის ასისტენტი . სკოლას აქვს შექმნილი ისგ-ს შემუშავების ჯგუფები, ინკლუზიური განთლების სამოქმედო გეგმა, ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი, ისგ თითოეული მოსწავლისთვის; შემუშავებულია რესურს ოთახით სარგებლობის განრიგი. რესურს ოთახი მდებარეობს სკოლის მესამე სართულზე და ხელმისაწვდომია ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისათვის. რესურს ოთახი აღჭურვილია მრავალფეროვანი რესურსებით, რომელთა შეძენა და დამზადება ხდება თითოეული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე. რესურს ოთახში არსებული მრავალფეროვანი რესურსები გარდა სპეც. მასწავლებლისა, საგნის მასწავლებლებსაც მნიშვნელოვან დახმარებას უწევს დიფერენცირებული სწავლების განხორციელებაში. სპეც. პედაგოგს საკუთარი ხელით აქვთ შექმნილი არაერთი განმავითარებელი რესურსი სსსმ მოსწავლეებისათვის. სსსმ მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით, პერიოდულად ხორციელდება ისგ გეგმების მონიტორინგი და მათი განხილვა. სკოლაში დანერგილია სადიაგნოსტიკო წერების პრაქტიკა - შეფასების ეს მექანიზმი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს აღმოჩენილი მოსწავლეთა რისკ ჯგუფები, რომელთაც სწავლაში გარკვეული სირთულეები აქვთ და შესაბამისად დროულად ხდება ინტერვენციების დაგეგმვა. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში ვიზიტის შედეგად დგინდება, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ეფექტიანი სასწავლო სტრატეგიის შემუშავება და საგაკვეთილო პროცესში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუჯობესების ხელშეწყობა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტს წარმოადგენს. სკოლა მუდმივად ზრუნავს სსსმ მოსწავლე იყოს მთლიანი კლასის განუყოფელი ნაწილი და ჩაერთოს ყველა სახის სასკოლო პროექტში. სკოლაში სხვადსხვა სახის ჩატარებული პროექტები, მოსწავლეთა მიერ შექმნილი პოსტერები და ნახატები ხელს უწყობს

მოზარდებში ტოლერანტული განწყობის ზრდას განსხვავებული შესაძლებლობის მქონე თანატოლების მიმართ. სკოლას გააზრებული აქვს სსსმ მოსწავლეების ტრანზიციის გეგმის შემუშავება და პრაქტიკაში განხორციელება.

ინკლუზიური განათლების მიმართულებით სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა ტიპის აქტივობა, ღონისძიება და პროექტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- სსსმ მოსწავლეების ინდ.გეგმები;
- წლიური ანგარიშები;
- ისგ და მონიტორინგის ჯგუფის ოქმები;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**

სკოლა ჩართულია ,,საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის" პროგრამაში და სთავაზობს უკრაინელ მოსწავლეებს ტრანსპორტით მომსახურებას შესაბამისი რეგულაციების დაცვით. სკოლაში ფუნქციონირებს კვების ობიექტი, რომელიც გაცემულია ფართი იჯარით და მეიჯარესთან სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება და სკოლა ახორციელებს იმ მოთხოვნებს, რაც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვისდადგენილი მინიმალური მოთხოვნების" დოკუმენტშია ასახული. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

სკოლის მიერ განხორციელებული კლუბები და კლასგარეშე საქმიანობა, ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ქართული ხალხური ცეკვის წრე და კალათბურთის წრე. ეს მომსახურება გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედსაბჭოს მიერ. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**

სკოლის მიერ განხორციელებული კლუბები და კლასგარეშე საქმიანობა ხორციელდება სკოლაში უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. თითოეულ კლუბს შემუშავებული აქვს დებულება. კლუბებს ხელმძღვანელობენ კვალიფიციური პედაგოგები. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- იჯარის ხელშეკრულებები;
- კლუბების დებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მახოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური - უკრაინული სექტორი	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას 13.02.2024 წლის ბრ.N2-13 დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დამტკიცებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ფუნქციები, პრიორიტეტები და შეხედულებები. კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლებისა და ადმინისტრაციის ჩართულობით, რაც გაწერილია უშუალოდ დოკუმენტში და ეფუძნება წინა წლის კურიკულუმის ანალიზსა და გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით (მაგ: პედსაბჭოს ოქმში #5) ახალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმების შემუშავებას. რის მიხედვით კათედრები განსაზღვარვენ საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით სავალდებულო თემების ჩამონათვალს, საკითხებს, შემოქმედებითი დავალებების პირობებს, შესაბამის რესურსებს და აკავშირებენ სტანდარტის მისაღწევ შედეგებთან (გრძელვადიან მიზნებთან). კურიკულმების შემუშავებაში ჩართულია მთლიანი სასკოლო საზოგადოება, რის განვითარებაში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეების საჭიროებები და შესაძლებლოებები, რაც განსაზღვრულია ისგ-ის დოკუმენტით და სპეციალური მასწავლებლის, მშობლისა და საგნის მასწავლებლის ჩართულობით. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რის მიხედვით შექმნილია კურიკულუმის კონცეპტუალური დოკუმენტი და საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, რომლის შემუშავებაში ჩართულია მთლიანი სასკოლო საზოგადოება. შინაარსობრივი საკითხები განიხილება კათედრის სხდომებზე სადაც მუშავდება: საგნობრივი თემები, საკითხები, შემოქმედებითი დავალების პირობები, საგანმანათლებლო რესურსები, რაც ხელს უწყობს სრულიად სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას, რაც გულისხმონს მოსწავლის აქტიურ ჩაერთულობას სასწავლო პროცესში და საგნობრივ ცოდნის მიღებასთან ერთად მაღალი საზროვნო უნარების გამომუშავებასა და ცოდნის პრატიკაში გადატანას (ტრანსფერი), რასაც ხელს უწყობს კათედრების მიერ შექმნილი კურიკულუმებში ასახული შემოქმედებითი დავალებები, რის მიხედვით შექმნილია მოსწავლეების ნამუშევრები, რომლის პროცესშიც მშობლის ჩართულობაც ხორციელდება, რაც მათთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა. საგნობრივი კურიკულუმებში ასახულია თითოეული მოსწავლის ინტერესები. სსსმ მოსწავლეებისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის შედგენაში მონაწილეობას იღებს სპეციალური და საგნის მასწავლებელი და მშობელი. წარმოდგენილი კათედრის სხდომის ოქმებითა და მასწავლებელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმის შექმნაში მუშაობენ გუნდურად, ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და რეკომენდაციებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმები. სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა, რომ სასწავლო წლის ბოლოს ხორციელდება პროცესის შეჯამება და გამოკვეთილი არსებული საჭიროებების გათვალისწინებით ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით ახალი საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრების ყველა წევრი და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის დახვეწა. კათედრებზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, რას საშუალებას იძლევა მასწავლებლებმა ერთმანეთს გაუზიარონ მოსწავლეთა მიღწევები, საჭიროებები, ინტერესები, სურვილები და შესაბამისი შინაარსობრივი ნაწილი ასახონ კურიკულუმებში. ასევე მშობლებთან იგზავნება ელექტრონული კითხვარები, საიდანც მიღებული მონაცემების გათვალისწინება ხორციელდება, რაც ხელს უწყობს ერთის მხრივ

მთლიანი სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და ასევე, მოსწავლეთა ინტერესების მეტად გაცნობასა და გათვალისწინებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო კურიკულუმი გაზიარებული და გათავისებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრის თავმჯდომარეები, მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო კურიკულუმისა შემუშავებისა და დახვეწის პროცესში. კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის და როგორც სასკოლო-სასწავლო გეგმის ნაწილი მისი შეთანხმება ხდება სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. სასკოლო კურიკულუმი საჯაროა და გაზიარებულია ელექტრონულად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-113, სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N2-114, სკოლის სტრატეგიული გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის საჭირო ღონისძიებების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- სასკოლო- სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სხდომის ოქმი N1;
- მშობელთა კრების ოქმი N1;
- ისგ- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები;
- ისგ- დოკუმენტები (ქართული, მათემატიკა, მე და საზოგადეობა);

- მოსწავლეთა ნამუშევრები შემოქმედებითი ტიპის დავალებების მიხედვით.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ შემოთავაზებული კურიკულუმები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სტრუქტურირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ასახულია თემატური დაგეგმვა სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. მოსწავლეთა დაინტერესების და შინაგანი ძალების გააქტიურების მიზნით, საკითხების უკეთ გააზრებისთვის განსაზღვრულია კონტექსტმაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. სასწავლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ასევე ციფრული შინაარსის რესურსები და პლატფორმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა** ზოგიერთ შემთხვევაში სკოლას მიეცა რჩევა, სახელმძღვანელოს პარაგრაფების ჩამონათვალი გაერთიანდეს კლასტერებად, რათა შესაძლებელი იყოს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინების მიზნით მეტი მოქნილობის გამოვლენა. ასევე, სკოლას მიეცა რჩევა, გადაიხედოს კონტექსტმაგალითების და შედარების მაგალითების მიმართება. მაგ. თუ კონტექსტმაგალითად ფიზიკის კურიკულუმში განსაზღვრულია ,,კატაპულტი", შედარების მაგალითი ისევ ,,კატაპულტი" ვერ იქნება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყოველივე ეს კარგად გამოჩნდა მათ მიერ განხორციელებულ კომპლექსურ/შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგებმა საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმეს კომპლექსური დავალებებით სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. მოსწავლე ისწავლის, როგორ წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი, დააკვირდეს, რას გაართვა თავი მარტივად, რა წინააღმდეგობები შეხვდა გზად და როგორ გადალახა ისინი მასწავლებლის დახმარებით. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები, მზაობა, გამოცდილება, ინტერესები და სურვილები. ასევე, ყველა სტრატეგია, მეთოდი, აქტივობა თუ რესურსი მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ სამივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა, იტალიური ენა) ორივე სექტორზე (ქართული, უკრაინული) შემუშვებული კურიკულუმები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურების და მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით). კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და გასაუბრების დროს კათედრის წევრების მიერ მაგალითად მოჰყვანილი შემოქმედებითი დავალებებზე მუშაობის ეტაპების აღწერა გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ ნებისმიერ მოსწავლეს აქვს საშუალება მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობი და მოახდინოს თვითრეალიზება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი ესთეტიკური აღზრდის საგნებში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითრების გზას.ის ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების შესაძლებლობას. მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ და განახორციელონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური,ნაცნობი თემები,კონტექსტ მაგალითები და რესურსები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ,რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. **რჩევა-** გააგრძელონ მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდრონ ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით.ეს ხელს შუწყობს როგორც მოსწავლეების მოტივაციის გაზრდას, ისე მათი მიღწევების შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **უკრაინული სექტორი** უკრაინული ენის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო,კათედრის ანგარიში,სსგ) და მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ,რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მათემატიკაში არის სტრუქტურირებული, კურიკულუმით განსაზღვრული დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები არის მრავალფეროვანი და ინტერაქტიული, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა მოდალობების მქონე მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების პირობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ზოგადი კომპეტენციების განვითარებას, მათ შორის კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის, თანამშრომლობისა და თვითგამოხატვის უნარების გაძლიერებას. მათემატიკური ცნებების დაუფლება ხდება პრაქტიკული და შემოქმედებითი ამოცანების საშუალებით, რაც კიდევ უფრო მეტად აახლოვებს სწავლას რეალურ გამოცდილებასთან. მე-12 კლასის კურიკულუმებით შუალედური შედეგის შესამოწმებელი დავალების იდეაში მითითებულია შემაჯამებელი დავალება. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ გააკეთა განმარტება, რომ მიმდინარე სასწავლო წელს მე-12 კლასში შუალედური მიზნის მისაღწევი დავალების ინტეგრაცია შემაჯამებელ დავალებებში, როგორც ეს კათედრას ჰქონდა განსაზღვრული, ვერ მოხერხდა და მომდევნო სასწავლო წელს იგეგმება ამაზე მუშაობა. **სკოლას მიეცა რჩევა** უზრუნველყოს საკუთარი რეგულაციების შესრულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმში მოცემული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდლებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** **უკრაინული სექტორი** უკრაინული ენის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ,რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის (I–IV კლასების) კურიკულუმები — ქართულ ენაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში —ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომლებიც განიხილება როგორც შუალედური სასწავლო მიზნები და ემსახურება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას.

	შესაბამისად, კურიკულუმები არა მხოლოდ სასწავლო პროცესის შინაარსს, არამედ მის დაგეგმვისა და განვითარების გზებსაც ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომით. მათში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და აქტივობები ხელს უწყობს იმ გარემოს შექმნას, სადაც მოსწავლე არის არა პასიური მსმენელი, არამედ აქტიური შემოქმედი — საკუთარი სწავლის პროცესის სუბიექტი და წარმმართველი. ასეთი მიდგომა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ ემოციები, ინტერესები და ინდივიდუალური ხედვები. მასწავლებლები კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ კლასის მზაობას, მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით განსაზღვრავენ სწავლების მეთოდებს, სტრატეგიებსა და ამოცანებს. ყოველივე ამის საფუძველზე კათედრა შეიმუშავებს კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსიას და განსაზღვრავს შემოქმედებითი დავალების ტიპს და რაოდენობას. გადამუშავების პროცესში ცვლილება შეეხო მაგ. ბუნებისმეტყველების მე-4 კლასის სტანდარტს, რადგან, გამოიკვეთა, რომ საკითხი ,,დიდი აღმოჩენები“ რთული დაასაძლევი იყო მოსწავლეებისათვის და მასწავლებელმა შესთვაზა მარტივი გეოგრაფიული ატლასის შექმნა, რამაც გაუმარტივა მათ საკითხის გააზრება. შემოქმედებითი დავალებები მრავალფეროვანია და მოიცავს სხვადასხვა ტიპის პროდუქტების შექმნას. ეს კი ხელს უწყობს უნარებისა და კომპეტენციების ფართო სპექტრის ჩამოყალიბებას. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, სასწავლო პროცესში მოსწავლე თავად აგებს ცოდნას — საკვანძო შეკითხვებზე პასუხის მოძიების გზით ეტაპობრივად აღწევს საბოლოო შედეგს. ამ პროცესში ის იაზრებს, რა ცოდნა და უნარები სჭირდება კონკრეტული კომპლექსური დავალების შესასრულებლად და შეგნებულად მართავს საკუთარ სწავლის პროცესს. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე თითოეული მოსწავლე ნამდვილად არის საკუთარი სწავლის პროცესის აქტიური მონაწილე, შემოქმედი და სუბიექტი, რაც მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების არსს სრულად ასახავს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ცნებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით, საკითხები სავალდებულო თემების ფარგლებში დალაგებულია კლასტერებად. შუალედური სასწავლო მიზნების მისაღწევად შემუშავებულია შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს სამივე კატეგორიის ცოდნის დაუფლებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს შეუწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებში სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ სამივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა, იტალიური ენა) ორივე სექტორზე (ქართული, უკრაინული) თავდაპირველად წარმოდგენილი კურიკულუმები არ შეესამებოდა კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს ესგ-ში მოცემულ ყველა თემატური ბლოკების და თემების დაფარვას (სკოლის მიერ წარდგენილ კურიკულუმებში გრაფაში „თემა“ მითითებული იყო სახელმძვანელოში მოცემული თავების დასახელებები ან გაკვეთილის ნომერი). აგრეთვე რუსული ენის კურიკულუმებში არ იყო

	მითითებული სამიზნე ცნებები. ონლაინ შეხვედრის დროს მასწავლებლებს მიეცა მითითება და შენიშვნა ამის შესახებ. ვიზიტის დროს გამოგზავნილ კურიკულუმების ბოლო ვერსიაში უცხოური ენის მასწავლებლებს უმეტესად გათვალისწინებული აქვთ გასაუბრების დროს მიღებული მითითებები და კურიკულუმებში შეტანილი აქვთ ცვლილებები თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ზოგ კურიკულუმში არის, თეკნიკური/ მექანიკური შეცდომის გამო, უზუსტობა, კერძოდ: ინგლისური ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სვეტში სამიზნე ცნებები შეცდომით არის მითითებული საშუალო საფეხურის ცნებები **ჟანრი, სამეტყველო ქმედებები, ენობრივი საშულებები, კულტურათა დიალოგი,** უნდა იყოს **ზეპირი კომუნიკაცია, წერითი კომუნიკაცია, ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა.** რუსული ენის კურიკულუმებში ზოგიერთშემთხვევაში არასწორადაა მითითებული თემები და ცნებები, მაგალითად: რუსული ენის მე-7 კლასის კურიკულუმში მეორე თემად წერია: „დროის გატარება, ინტერესები და ჰობი“. ასეთ თემას მოქმედი ესგ არ ითვალისწინებს. მასწავლებლის მიერ დაწერილი „თემის“ სათაურიდან გამომდინარე კურიკულუმში თემად უნდა იყოს მითითებული ესგ-დან: აქტივობის სფერო **პირადი,** პარამეტრები **მოქმედება** (ყოველდღიური ყოფითი, შემოქმედებით-ინტელექტუალური, სპორტული, გასართობი საქმიანობები (მაგ., ჭამა, ჩაცმა, კითხვა, მეცადინეობა, კოლექციონერობა, ტელევიზორის ყურება)). აგრეთვე რუსული ენის ზოგ კურიკულუმში სვეტში „**სამიზნე ცნება / ქვეცნებები**“ ესგ-ში მოცემული ცნებების ნაცვლად წერია: „ფაქტის გადმოცემა, აზრის გამოხატვა, შედარება“. მთლიანობაში უცხოური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები და გასაუბრების დროს მიღებული პასუხები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ კათედრა აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** კურიკულუმების შედგენის დროს უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებმა პირველ რიგში იხელმძღვანელონ ესგ-ის ბოლო ვერსიით და ზუსტად გადაიტანონ ესგ-დან კურიკულუმში თემების და ცნებების დასახელება. რუსული ენის კურიკულუმების შედგენის დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ და მიუთითონ ესგ-ში მითითებული თემები თემატური ბლოკების მიხედვით

	საფეხურების გათვალისწინებით, აგრეთვე ყველა კლასის კურიკულუმებში სწორად მიუთითონ ცნებები.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნებში სამივე საფეხურის კურიკულუმი ითალისწინებს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დაკონკრეტებულია სამიზნე ცნებები და მოცემულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიანი მიზნებისაკენ. მათი შესრულება მოსწავლეებისაგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას ,კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმი ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები,დასამუშავებელი საკითხები, კონტექსტ მაგალითები. დავალებები და აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის გამოყენებაში. გასაუბრებისას გამოიკვათა , რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **უკრაინული სექტორი** უკრაინულ სექტორზე მომზადდა კურიკულუმის ჩარჩოები ქართული სექტორის შესაბამისად, უკრაინული ენის კათედრამაც ვიზიტის დროს წარმოადგინა უკრაინული ენის კურიკულუმი ,რომელშიც ნათლად იკითხება ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი მიზნები და მათი შესაბამისი დავალებები,თემები და საკითხები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	სკოლის მიერ ორივე სექტორზე წარმოდგენილი საგნობრივი და საფეხურების მიხედვით შემუშავებული კურიკულუმების შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ კურიკულუმი თავსებადია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. კურიკულუმის სტრუქტურა და შინაარსი მოიცავს ისეთი უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, კერძოდ: ● სწავლების პროცესში პრიორიტეტულია ინფორმაციის გააზრება პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით; ● სწავლების შინაარსი მიმართულია კანონზომიერებების აღმოჩენასა და ახალი ცოდნის სხვადასხვა კონტექსტში მოდელირებაზე; ● სასწავლო ამოცანები ორიენტირებულია როგორც საგნობრივი, ისე ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაზე მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და მიდგომების გამოყენებით. კურიკულუმში წარმოდგენილი შუალედური შედეგის შესამოწმებელი დავალებები ხელს უწყობს შეძენილი ცოდნის გააზრებულ გამოყენებას. თითოეულ კლასში შემუშავებული დავალებები და მათი პრეზენტაცია მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას გამოიყენონ მიღებული ცოდნა პრაქტიკულად — რეალური ამოცანებისა და პრობლემების გადაჭრისას. შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესში მოსწავლე არა მხოლოდ იმეორებს ნასწავლს, არამედ ახორციელებს ცოდნის ტრანსფერს ახალ სიტუაციებში, რითაც აღრმავებს ანალიტიკურ და შემოქმედებით აზროვნებას. შემოქმედებითი პროდუქტების წარდგენისას მოსწავლეები სწავლობენ ინფორმაციის გააზრებას, მის დაკავშირებას პირად გამოცდილებასთან, კანონზომიერებების აღმოჩენასა და სასწავლო მასალის

	გაანალიზებას, ასევე სასწავლო და ცხოვრებისეული ამოცანების გადაჭრას შეძენილი ცოდნის გამოყენებით. ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და უზრუნველყოფს მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფლებულია.**
სპორტი	შექმნილი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი მიზნებისკენ. კურიკულუმებში იკითხება, რომ დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებილია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ საკითხის მნიშვნელობას და შეძლებენ მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებილია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე სკოლამ წარმოდგინა I–IV კლასების საგნობრივი კურიკულუმები ქართულ ენაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში. წარმოდგენილი დოკუმენტები ძირითადად ეფუძნება საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს და მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ. კურიკულუმის ჩარჩო მოიცავს თემებს, სამიზნე ცნებებს (გრძელვადიან მიზნებს) და საკითხებს, რაც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის სტრუქტურირებულ და თანმიმდევრულ მიმდინარეობას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, კარგად იცნობენ საგნობრივ სტანდარტებს და იყენებენ მათ პრაქტიკაში. ინტერვიუს მონაწილეებმა გამოხატეს მზაობა, მომავალში მეტი დრო დაუთმონ კურიკულუმების გადახედვასა და დახვეწას, რათა კიდევ უფრო სრულად აისახოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები რაც შეეხება საგან ,,მე და საზოგადოების“ სწავლებას **უკრაინულ სექტორზე**, ამავე სექტორის სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად ,,ბუნებისმეტყველება I-Vკლასებში ფარავს ,,მე და საზოგადოების“ კომპონენტს, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით არის გათვალისწინებული III და IV კლასებში (უკრ. სექტ. სასკ. სასწ. გეგმა, დაწყ. საფ. 2024-2025, გვ. 4) და ცალკე საგნად არ ისწავლება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებში მითითებულია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. ასევე წარმოდგენილია ციფრული რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. ისინი მრავალფეროვანია და ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც ხელს უწყობს აქტიური და ჩართულობაზე ორიენტირებული სწავლის პროცესის განხორციელებას. ასევე, უზრუნველყოფს სასწავლო მიზნებისა და შედეგების ეფექტურად მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ სამივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა, იტალიური ენა) ორივე სექტორზე (ქართული, უკრაინული) შემუშვებული კურიკულუმები და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. ეს რესურსებია: პირველ რიგში, ქართულ სექტორზე, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებით სასწავლო რესურსებად კურიკულუმში მრავლად არის ე.წ. „ლინკები“ (ელ. რესურსების მისამართები) რომლების მორგებულია სასწავლო თემებს, მიზნებს, აგრეთვე მასწავლებლები ფართოდ იყენებენ სხვადასხვა აუდიო ჩანაწერს, როგორც სამინისტროს მიერ მიწოდებულ (სახელმძღვანელოს ახლავს აუდიო ჩანაწერები) აგრეთვე თავადაც პოულობენ ინტერნეტში ამ აუდიოჩანაწერებს. სკოლას აქვს საკმარისი მატერიალური ბაზა (კომპიუტერები, პროექტორები და ა.შ) რომ ეს ელექტრონული რესურსები გამოიყენონ გაკვეთილზე.

	რაც შეეხება უკრაინულ სექტორს მიუხედავად იმისა რომ ძირითად სახელმძღვანელოდ იყენებენ უკრაინაში გამოცემულ წიგნებს ამ წიგნებში მოცემული თემები და აქტივობების მიზნები შეესაბამება ესგ-ში მოცემულ თემებს და მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** მასწავლებლებმა მუდმივად ამოწმონ კურიკულუმებში მოცემული ე.წ. „ლინკები“ რადგან ზოგი ლინკი არ იხსნება ან ლინკზე გახსნილი რესურსის თემა არ შეესაბამება კურიკულუმში დაწერილ თემას. სასურველია მასწავლებელმა მისთვის საჭირო ელ.რესურსი ჩამოტვირთოს და შეინახოს საკუთარ იუთუბარხზე.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი რესურსები, როგორიცაა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ციფრული თუ მატერიალური რესურსები ასევე ვიდეო თუ აუდიო მასალა, სხვადსხვა ელექტრონული რესურსები , რომლებიც უფრო საინტერესო და მრავალფეროვანს და მიმზიდელს ხდის სასწავლო პროცესს, რაც განაპირობებს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის სასწავლო კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები- როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები ,ისე დამხმარე მასალები(სხვადასხვა ციფრული თუ მატერიალური რესურსები). აღნიშნული რესურსები მიზნად ისახავს საგნობრივი სტანდარტების ეფექტიანად მიღწევას, მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდასა და სასწავლო შედეგების გაუმჯობესებას.სკოლამ წარმოადგინა ასევე მოსწზავლეთა და მასწავლებელთა მიერ შექმნილი რესურსები, საგანმანათლებლო თამაშები, კომიქსები, რომლებსაც აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **უკრაინული სექტორი:**

	უკრაინული ენა სასწავლო პროცესში გამოყენებულია უკრაინული სახელმძღვანელოები, რომლებიც სკოლისათვის შეთავაზებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	**ქართული სექტორი:** სასწავლო პროცესში ძირითად სახელმძღვანელოდ გამოიყენება განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გრიფირებული სახელმძღვანელოები, გარდა ამისა, კურიკულუმით განსაზღვრულია სხვადასხვა სახის ელექტრონული რესურსების გამოყენება, რაც ამდიდრებს სწავლების პროცესს, ამაღლებს მოსწავლის ჩართულობას და ამარტივებს სასწავლო მასალის გააზრებას. ელექტრონული რესურსები ინტერაქტიულია, ხელს უწყობს მოსწავლის ინტერესის ზრდას, დამოუკიდებელი მუშაობის განვითარებას და სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **უკრაინული სექტორი:** სასწავლო პროცესში გამოყენებული ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი უკრაინული სახელმძღვანელოებია, რომელიც შეთანხმებულად ითვლება განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 24/10/2025 წლს MES 8 25 0001406889 კორესპონდენციის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმებში გათვალისწინებულია როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები. სასწავლო რესურსები იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის საშულებას, მასში მოცემული დამატებითი მეთოდური სახელმძღვანელოები და ინტერნეტ

	რესურსები არის მრავალფეროვანი ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (I–IV კლასებში) — სახელმწიფო ენაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და „მე და საზოგადოებაში“ — კურიკულუმებში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის რესურსები, რომლებიც გამოიყენება დავალებებზე მუშაობისას. აღნიშნულ რესურსების, კერძოდ, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე რესურსების ჩამონათვალს აზუსტებს კათედრა სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესის შესაბამისად. შერჩეული რესურსი მიემართება თითოეულ საგანში საგნობრივი სტანდარტების მიღწევას, მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდასა და შედეგების გაუმჯობესებას. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტები, საგანმანათლებლო თამაშები, ნამუშევრები, რომლებიც არა მხოლოდ ასახავს მოსწავლეთა შემოქმედებით ჩართულობას, არამედ წარმოადგენს პრაქტიკულ რესურსს, რომლის გამოყენებაც მასწავლებლებს შეუძლიათ მომავალ სასწავლო წლებში სასწავლო მიზნებისთვის. ზოგიერთი მათგანი მატერიალური სახით არსებობს ბიბლიოთეკაში. საინტერესო ნამუშევრებს ქმნიან მოსწავლეები ასევე უკრაინულ სექტორზე კომიქსების, ლეპ-ბუკების, ხელით შექმნილი ნამუშევრების სახით, რომელთა ნაწილი სასკოლო კვირეულების

	ფარგლებში იქმნება და კლასები ინაწილებენ წარსადგენ დავალებებს. ეს საქმიანობა ნათლად აჩვენებს, რომ დაწყებით საფეხურზე შემოქმედებითი დავალებები და მის ფარგლებში შექმნილი რესურსები რეალურად ემსახურება მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, კვლევის, შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარების განვითარებას. **უკრაინული სექტორი** სასწავლო პროცესში გამოყენებულია უკრაინული სახელმძღვანელოები, რომელთა გამოყენებაც შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც შედგენილია სამიზნე ცნებებთან შესაბამისობაში. ასევე, კურიკულუმებში ჩანს მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება. საეტაპო აქტივობები, შეკითხვების სტილი ითვალისწინების მსწავლელის ტიპს. მოსწავლებს აქვთ შემოქმედებითი დავალების პროდუქტის არჩევანის შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს მათი უნარების, ინტერესების და პოტენციალის რეალიზებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის

	კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალების პირობის მოდიფიცერებას. მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და მასზე იმუშაონ. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში ჩანს როგორ ახდენს მასწავლებელი შემოქმედებითი ტიპის დავალების და მთლიანად საგაკვეთილო პროცესის მოდიფიცირებას სსსმ მოსწავლეებისთვის და რამდენად ქმნის მათთვის ინკლუზიურ გარემოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციია (ინდივიდუალური სასწავლო გეგმები) და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ უცხოური ენების კათედრის მასწავლებლები მოსწავლეებს განიხილავან სასწავლო პროცესის აქტიურ სუბიექტებად და გააზრებული აქვთ რომ მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა. ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფს განათლების ხელმისაწვდომობას ყველა შესაძლებლობის მოსწავლისთვის. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა მოიყვანეს მაგალითები თუ როგორ აძლევენ სხვადასხვა აკადემიური მოსწრების და შესაძლებლობების მოსწავლეებს დიფერენცირებულ დავალებებს. სამწუხაროდ მსგავსი დავალებების არსებობა დოკუმენტალურად არ დადასტურდა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული დავალებები მატერიალური სახით შეინახონ და ამითი კათედრაზე შეიქმნება ე.წ. დავალებების ბანკი.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე მუსიკასა და ხელოვნებაში გათვალისწინებული ინკუზიური სწავლების პრინციპები, შემუშავებულია ინდ. გეგმები. კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია

	მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს,ქმნის ინკლუზიურ გარემოს. ამის დასტურია წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები/აქტივობები, რესურსები,რომლებიც მორგებულია მოსწავლეზე და იწვევს მათ დაინტერესებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს საკუთარი ინტერესებიდან, მზაობიდან გამომდინარე აარჩიონ დავალება,საჭიროების შემთხვევაში ახდენენ სასწავლო შინაარსისა და დავალებების ადაპტირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და პედაგოგებთან (როგორც ქართული, ისე უკრაინული სექტორის წარმომადგენლებთან) ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში ინკლუზიურია და ეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას მიზნობრივად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, მათ შორის — სწავლის სტილს, შესაძლებლობებსა და მზაობის დონეს. პედაგოგების საქმიანობაში აშკარად გამოიკვეთა მიდგომა, რომლის მთავარი პრინციპია ყველა მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. სასწავლო მიზნების მიღწევის ხელშეწყობის მიზნით, მასწავლებლები ახორციელებენ სასწავლო შინაარსისა და დავალებების ადაპტირებას, იყენებენ არჩევანის შეთავაზების მეთოდს და ახდენენ აქტივობების დიფერენცირებას. სასწავლო მასალის წარდგენისას იყენებენ ვიზუალურ, პრაქტიკულ

	და თეორიულ მასალას — რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის სტილის, მოდალობების, გათვალისწინებასა და ეფექტურ ჩართულობას. პედაგოგები მიზანმიმართულად ქმნიან ისეთ სასწავლო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის უნიკალური პოტენციალის გამოვლენას, თვითგამოხატვასა და ცოდნის აგების შესაძლებლობას ინდივიდუალური ტემპისა და შესაძლებლობების შესაბამისად. აღნიშნული პრაქტიკა წარმოადგენს ეფექტიან საფუძველს ინკლუზიური განათლების პრინციპების განხორციელებისა და დიფერენცირებული სწავლების კულტურის დამკვიდრებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებლები არეგულირებენ დატვირთვას სხვადასხვა ხერხით, მაგ., მოძრაობის შესრულების მოცულობის, ინტენსივობისა ან გამეორების ცვლილებით. ასევე, სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც ასახული მოსწავლის აქტუალური დონის აღწერა, გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, მიზნების მისაღწევი კონკრეტული აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებილია.**
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. პედაგოგებთან გასაუბრებით ასევე დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების, განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებებისგათვალისწინებით გეგემავენ ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებისა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში. სკოლას წარმოდგენილი აქვს ისგ მე-2, 3, 4 კლასის მოსწავლისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში განსაზღვრული დავალებები იძლევა დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომების გამოყენების შესაძლებლობას. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, ისინი საჭიროების შემთხვევაში ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას და მათ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას, არჩევითი დავალებების შეთვაზებას, სასწავლო მასალისა და დავალებების ადაპტირებას. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლაში დიფერენცირებული სწავლების მიდგომა რეალურად ხორციელდება პრაქტიკაში და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ინკლუზიურობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციაც ადასტურებს, რომ სკოლა სისტემატურად იყენებს სადიაგნოსტიკო შეფასებებს, როგორც მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების ინსტრუმენტს. აღნიშნული მიდგომა საშუალებას აძლევს მასწავლებლებს მიზნობრივად წარმართონ სასწავლო პროცესი, დააფიქსირონ თითოეული მოსწავლის საჭიროებები და შესაბამისი ინტერვენციებით უზრუნველყონ სასწავლო პროცესის ეფექტური განვითარება. საბოლოოდ, დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრაქტიკა სკოლაში უზრუნველყოფს მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებას და ხელს უწყობს სასწავლო შედეგების ხელშესახებ გაუმჯობესებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები. ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა რჩევა, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ნათლად გამოეკვეთათ სამიზნე ცნებებზე ორიენტირება და თითოეული

	სამიზნე ცნების ხვედრითი წილი. წამოდგენილია ასევე შემოქმედებითი დავალებების შეფასების რუბრიკები, რომლებიც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესსა და შედეგს აფასებენ კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე ზოგადი შეფასების რუბრიკები, რომლებიც კათედრაზე, წევრების ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. შემაჯამებელი წერების საშუალებით პედაგოგები აფასებენ ცნების გააზრების დონეს, რაც შესაძლებლობას იძლევა განსაზღვრონ კონკრეტული მოსწავლის საჭიროებები და შესაბამისად დაგეგმონ/გადაგეგმონ შემდგომი პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლას წარმოდგენილი აქვს მათ მიერ შუმუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ძირითადად შეესაბამება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს და საშუალებას იძლევა, ობიექტურად შეფასდეს მოსწავლეთა შედეგები. ინტერვიუს დროს დასმულ კითხვაზე თუ რით იხელმძღვანელებენ კონკრეტული დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკების და კრიტერიუმების შექმნის დროს, მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ გაითვალისწინებენ პირველ რიგში კონკრეტული დავალების ხასიათს თუ რას ამოწმებს ეს დავალება (მაგ. მოსმენილის ან წაკითხულის გააზრებას თუ კონკრეტული გრამატიკული ან ლექსიკური ცოდნის შემოწმებას თუ რამე ტექსტის შექმნას ზეპირად თუ წერით) და კიდევ იხელმძღვანელებენ ესგ-ში საგნის სტანდარტში მოცემულ ე.წ. შედეგ-ინდიკატორებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:**კათედრამ ცალკე შეიმუშაოს უცხოური ენების სასწავლო მიზნებზე (ესგ) მორგებული შეფასების რუბრიკები უცხოურ ენაში სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის (მოსმენა, კითხვა, წერა,

	ლაპარაკი, გრამატიკა...) . ამ რუბრიკების საშუალებით კი მასწავლებელი სასწავლო პროცესის დროს შეძლებს შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკა.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერს წარმოდგენილი შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციები და ამოცანები.ასევე გვხვდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ზოგად წარმოდგენებს ქმნის საფეხურის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. სკოლას აქვს შესაბამისი გამოცდილება და მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნებისაკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას.კათედრამ წარმოადგინა როგორც შუალედური შედეგის შესამოწმებელი დავალებების შეფასების , ასევე შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **უკრაინული სექტორი** სანიმუშოდ წარმოდგენილი რუბრიკიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამომდინარე აღვნიშნავთ, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა შექმნან შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

	რჩევა: უკრაინული ენის მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ შესაბამისი სტანდარტით(შედეგ-ინდიკატორებით), გაითვალისწინონ რას ამოწმებს დავალება და შეიმუშაონ შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის საფეხურის კურიკულუმებისა და შეფასების ინსტრუმენტების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა მოსწავლის შეფასებისთვის იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის კომპლექსურობას და მოსწავლის პროგრესის მრავალმხრივ წარმოჩენას. შეფასება განიხილება სწავლა-სწავლების განუყოფელ ნაწილად და ემსახურება როგორც მოსწავლის აკადემიური მიღწევების დადგენას, ისე მისი შემდგომი განვითარების მხარდაჭერას. სკოლას დადგენილი აქვს განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ასახავენ მოსწავლის მიერ ეროვვნული სასწავლო გეგმე საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევის ხარისხს. ამასთან, წარმოდგენილია როგორც შუალედური შედეგის შესამოწმებელი დავალებების შეფასების კრიტერიუმები, ასევე შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. შეფასების სისტემა ხელს უწყობს მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის მონიტორინგს, სწავლაზე პასუხისმგებლობის გაზრდას და სასწავლო პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ხორციელდება კურიკულუმებში ასახული თემების მიხედვით. ფასდება როგორც კონკრეტული ტექნიკური

	ელემენტების შესრულება, ასევე, სასწავლო პროცესში ჩართულობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებილია**
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებისას. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ჩანს, რომ მასწავლებლებს ზოგადად აქვთ ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე დოკუმენტაციის შესწავლისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი მასალები მოიცავდა რუბრიკებს, რომლებიც შეესაბამება კონკრეტული თემების ფარგლებში დასამუშავებელ ცნებებსა და შედეგების მისაღწევ ინდიკატორებს. აღნიშნული ფაქტი ადასტურებს, რომ პედაგოგებს გააჩნიათ კომპეტენცია და გამოცდილება რუბრიკების მიზნობრივად გამოყენებაში — თემის შიგნით შედეგების განსაზღვრისა და შეფასების პროცესში. **უკრაინულ სექტორზე** ზოგიერთი საგნის კურიკულუმი შეიცავს სასწავლო გეგმის შედეგების ინდიკატორებზე მორგებულ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ პედაგოგებს აქვთ მზაობა მსგავსი მიდგომა გამოიყენონ ყველა საგნის ფარგლებში შეფასების

	რუბრიკების გამოსაყენებლად სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვისათვის. ეს მიდგომა ნათლად აჩვენებს, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ შეფასების მნიშვნელობას როგორც სწავლების პროცესის ორგანულ ნაწილს და იყენებენ რუბრიკებს მოსწავლეთა პროგრესის გასაზომად, არა მხოლოდ საბოლოო შედეგების, არამედ სწავლის პროცესის დინამიკის შეფასების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები მათემატიკაში;
- საფეხურის კურიკულუმები;
- მათემატიკის კათედრის სხდომის ოქმები;
- საფეხურის კურიკულუმები მუსიკასა და ხელოვნებაში;
- საფეხურის კურიულუმები;
- შეფასების რუბრიკები მათემატიკაში;
- შემოქმედებითი პროდუქტები მათემატიკაში და მათი შეფასებსი რუბრიკები;
- საგნობრივი კურიკულუმები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში;
- საგნობრივი კურიკულუმები სპორტში;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სპორტში;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპორტში;
- შემაჯამებული დავალების ანგარიში სპორტში;
- გაკვეთილის გეგმა სპორტში;

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების რუბრიკები მუსიკას და ხელოვნებაში;
- შეფასების წარმოდგენილი ნიმუშები;
- დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები სახელმწიფო ენაში
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სახელმწიფო ენაში.
- დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტები სახელმწიფო ენაში.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ხელოვნებაში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - უკრაინული სექტორი*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების პროცესი დაგეგმილია კურიკულუმების შესაბამისად. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ წინა წლის კურიკულუმების განხორციელების ანალიზის და რეფლექსიის საფუძველზე იგეგმება განახლებული კურიკულუმები და შესაბამისად სასწავლო პროცესი. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობით პროცესს და საგანთაშორისი კავშირების გამოვლენას, რაც ხელს უწყობს შესწავლილი საკითხების გამოყენების არეალის ზრდას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; წარმოდგენილი შესრულებული დავალებების პროდუქტები, მათ შორის შემოქმედებითი ნამუშევრები, ცხადყოფს, რომ სასკოლო კურიკულუმში გაწერილი დავალებები რეალურად განხორციელებულია პრაქტიკაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს მიღებული პასუხებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი სამივე უცხოურ ენაში დაგეგმილია და მიმდინარეობს შედგენილი კურიკულუმების მიხედვით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმები მუდმივად განიცდიან მოდერნიზაციას (ცვლილებას) ეს დაკავშირებულია სასწავლო პროცესში გამოჩენილი ან სურთულეების გამო ან რამე სიახლეების დანერგვის გამო და ა.შ. ინტერვიუს დროს შესრულებული დავალების აღწერით მასწავლებლების

	მიერ დამტკიცდა, რომ კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი ესთეტიკური აღზრდის საგნებში მიმდინრეობს კურიკულუმის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში პედაგოგებს შეაქვთ მასში ცვლილებები. მოსწავლეები ასრულებენ იმ დავალებებს, რომლებიც კურიკულუმების არის განსაზღვრული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეებზე. წარმოდგენილი დავალებები,მოსწავლეთა ნამუშევრები, თუ ის განხორციელებული პროექტები, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, ნამდვილად გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას,რომ რომ სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **უკრაინული სექტორი** უკრაინული ენის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, კათედრის ანგარიში..)და მასწავლებელთა ინტერვიუდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ ,რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და პედაგოგებთან (ქართული და უკრაინული სექტორების წარმომადგენლებთან) ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგები სწავლების დაგეგმვისას ხელმძღვანელობენ კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებითა და პრინციპებით. მათი მიერ შერჩეული სასწავლო აქტივობები და შეფასების ფორმები მიმართულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და

	შესაძლებლობების გათვალისწინებაზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის ეფექტურობასა და მიზნობრიობას. სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები, შუალედური შედეგების შესაფასებელი დავალებების მიზნები და შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები სრულად შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს. წარმოდგენილი შესრულებული დავალებების პროდუქტები, მათ შორის შემოქმედებითი ნამუშევრები, ცხადყოფს, რომ სასკოლო კურიკულუმში განსაზღვრული დავალებები დანერგილია პრაქტიკაში .**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	გაკვეთილები ეფუძნება სასკოლო კურიკულუმებში აღწერილ შუალედურ მიზნებს, აქტივობებსა და რესურსებს. კურიკულუმებში გაწერილი პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებლებთან გასაუბრება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ შემოქმედებით პროდუქტებზე დაკვირვებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმის განხორციელება მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სწავლების პროცესში ისინი პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებების შერჩევა

	ხორციელდება ისე, რომ მათი შესრულება იყოს როგორც საინტერესო, ისე რეალისტურად დასაძლევი თითოეული მოსწავლისთვის. ვიზიტის ფარგლებში მასწავლებლებმა წარმოადგინეს დაწყებით კლასებში — კერძოდ, ქართულ ენაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და „მე და საზოგადოებაში“ — მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტები. აღნიშნული ნამუშევრები ნათლად წარმოაჩენს, რომ პედაგოგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შემოქმედებით მიდგომებს, კეთებით სწავლებას და ცოდნის აგების პრინციპებს წინარე გამოცდილების საფუძველზე. ეს პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი სრულადაა მზად კურიკულუმის მიზნების ეფექტურად განხორციელებისთვის და ემსახურება მოსწავლეთა აქტიური, დამოუკიდებელი და შემოქმედებითი სწავლების ხელშეწყობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა მოქნილად რეაგირებს სასკოლო საზოგადოების გათვალისწინებით შემხვედრ საჭიროებებზე და ახორციელებს შესაბამის მიდგომებს სასწავლო პროცესში. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს სკოლა სთავზობს დამატებით მხარდაჭერას, კონკრეტულად თუ რაიმე სირთულე აქვს რომელიმე საგანში მუშაობს რემედიაციის პროგრამა, დამატებითი მეცადინეობები და ინდივიდულური აქტივობები, რაც ასევე მოსწავლეებთან გასაუბრების პროცესშიც გამოიკვეთა. მოსწავლეთა ფსიქო- სოციალური პრობლემების გადასაჭრელად სკოლა სთვაზობს ფსიქოლოგის მომსახურებას. ასევე აქტიურად მუშაობენ სპეც.მასწავლებლები, რომელთაც ისგ-ის მიხედვით შემუშავებული აქვთ განსახორციელებელი აქტივოებები. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს რესურსოთახი რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკურ-მატერიალური რესურსით. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალსწინებით ხორციელდება კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა და განხილვა კათედრებზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში ხდება ინდ. გეგმის მოდიფიცირებაც. სკოლა აქტიურად ახორციელებს მშობლებთან ელექტრონული კითხვარის გაგზავნას და მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით მოსწავლეთა საჭიროებების მეტად დადგენას. სწავლა-სწავლების პროცესში მუდმივად ხორციელდება კურიკულუმის

დანერგვაზე დაკვირვება და შესაბამისი ინტერვენციების შემუშავება. შესაბამისად, სკოლა რეაგირებს გამოკვეთილ საჭიროებებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა ვალიდურია, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და შედეგებთან მიმართებაში, სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით თემატური დაგეგმვის პირობებში. მოსწავლეების და დაინტერესებული მხარეებისთვის გამჭვირვალე და ხელმისწავდომია. სამართლიანობას უზრუნველყოფს დიფერენცირებული მიდგომების არსებობა სკოლაში და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც კათედრაზე, ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან რა მოლოდინები აქვთ პედაგოგებს მათ მიმართ და რისი ცოდნა მოეთხოვებათ კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით. მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები და დეტალურად გაწერილი შეფასების სქემები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ძირითადად შეესაბამება ესგ-ს მიერ განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებსა

	და სამიზნე ცნებებს, შემუშავებულია გასავლელი თემების შესაბამისად. სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები და მასწავლებლების პასუხები ინტერვიუს დროს თუ როგორ აფასებენ მოსწავლეებს გვაძლევს საშუალებას დადებითად შევაფასოდ ეს ინდიკატორი. კერძოდ მასწავლებლებმა ბრძანეს, რომ მოსწავლეებმა ყოველთვის ზუსტად იციან თუ რაში იქნებიან შეფასებული ამა თუ იმ დავალების შესრულების დროს, კრიტერიუმებს მასწავლებელი აცნობს წინასწარ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი სახის.რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა ზრუნავს მის ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასება ემყარება მოსწავლეთა ინდივიდუალურ წინსვლასა და პროგრესს,იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას.შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და მეთოდები - ტესტები, პროექტები,ურთიერთშეფასება , თვითშეფასება, რაც უზრუნველყოფს პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას. მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებსა და მიზნებს, რაც ზრდის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **უკრაინული სექტორი**

	უკრაინული ენის კათედრის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ,რომ კათედრას აქვს მზაობა შექმნას ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა. **რჩევა** უკრაინული ენის მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ შესაბამისი სტანდარტით(შედეგ-ინდიკატორებით), გაითვალისწინონ რას ამოწმებს დავალება და შეიმუშაონ შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის.ეს ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის პროცესის სანდოობას ,ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	დოკუმენტაციის (შეფასების პრინციპები, მიზნები და ამოცანები, შეფასების კრიტერიუმები, შეფასების ფორმები და ინსტრუმენტები) ანალიზმა აჩვენა, რომ სკოლა მკაფიოდ განსაზღვრავს შეფასების მიზნებს, პრინციპებსა და პროცედურებს. აღნიშნული უზრუნველყოფს სწავლა-სწავლის პროცესის თანმიმდევრულ და სამართლიან მართვას, ხოლო შეფასების სისტემა არის ვალიდური და სტრუქტურირებული. მასწავლებლებთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ შეფასება ემყარება მოსწავლეთა ინდივიდუალურ წინსვლასა და სასწავლო შედეგების პროგრესს. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, როგორიცაა ტესტები, პროექტები, საგაკვეთილო აქტივობების შეფასება, თანატოლთა შეფასება და თვითშეფასება, რაც ზრდის პროცესის სანდოობას, ობიექტურობას და შედეგების ერთიანობას.

	სკოლაში შეფასების პროცესის გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია იმით, რომ მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, მიზნებს და შესაძლო შედეგებს. ეს პრაქტიკა ამავდროულად ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და სამართლიანობის გარანტიას იძლევა . ამრიგად, დოკუმენტაციით და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის: • **ვალიდური** - მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და შედეგები; • **სანდო** – გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები და ინსტრუმენტები, რაც ამცირებს სუბიექტურ შეცდომებს; • **ობიექტური** – შედეგები მყარ ფაქტობრივ მონაცემებზეა დაფუძნებული; • **გამჭვირვალე** – მოსწავლეები იცნობენ კრიტერიუმებს და შეფასების პროცესს; • **სამართლიანი** – შეფასება მიმდინარეობს თითოეული მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისად, ინდივიდუალური მიდგომებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სწავლა-სწავლების პროცესში სკოლას გამოყენებული აქვს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი (ზეპირი და წერილობითი კომენტარები). წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს. მოსწავლეებმა წინასწარ იციან, თუ რა კრიტერიუმების მიხედვით მოხდება მათი შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების

	რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე (I–IV კლასებში) გამოიყენება **განმავითარებელი შეფასება**, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის პროგრესის მრავალმხრივ შეფასებას და მის სწავლის პროცესზე აქტიურ ზემოქმედებას. კერძოდ, მასწავლებლები თითქმის ყველა საგანში იყენებენ შეფასების SOLO ტაქსონომიას და მოსწავლეს აძლევენ აღწერით უკუკავშირს, მთლიანობაში კი აანალიზებენ კლასის მიერ მიღწეულ დონეს და მისი გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს. შეფასების წარმოდგენილი ნიმუშები ეფუძნება **ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს** და გამომდინარეობს ცნების ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებიდან. ისინი მორგებულია კონკრეტულ თემებსა და საკითხებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების **ვალიდურობასა და შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან.** პედაგოგების განმარტებით, შეფასების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა **გამჭვირვალობას** — მოსწავლეებსა და მშობლებს წინასწარ აცნობენ შეფასების კრიტერიუმებსა და მიზნებს, რათა მოსწავლემ ზუსტად იცოდეს, **რა მოეთხოვება ცოდნის დასადასტურებლად** და შეძლოს საკუთარი სწავლის დაგეგმვა ამ ინფორმაციის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ შეფასების პროცესის ხარისხი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია **მასწავლებლის პროფესიულ ოსტატობაზე** — რამდენად მარტივად, გასაგებად და ასაკის შესაბამის ენაზე ახერხებს ის კრიტერიუმების ახსნას, მაგალითების მიცემას და შედეგების კონკრეტიზებას. სწორედ ეს უზრუნველყოფს შეფასების **ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას** და განაპირობებს განმავითარებელი შეფასების ეფექტურ დანერგვას პრაქტიკაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლის დირექტორის მიერ 2024 წლის 18 ნოემბრის N2-229 ბრძანებით დამტკიცებულია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სადაც დამტკიცებულია მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, წესი და მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის პროცედურების განხორციელების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც აქტიურად ახორციელებს მუშაობას სამივე საფეხურზე, რაც დასტურდება აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სემესტრული ანგარიშით. ამრიგად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა სათანადო შეფასებასა და აღრიცხვას ელექტრონულ ჟურნალში, რომლის მონიტორინგი პერიოდულად ხორციელდება. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. წინა წლების დოკუმენტაცია, კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები, კლასების და საგნების მიხედვით ფორმები შენახული და დაცულია სკოლის არქივში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემოქმედებითი ტიპის დავალების ბარათები და მოსწავლეთა ნამუშევრები;
- კათედრის სხდომის ოქმები;

- უცხო ენებისა და დაწყებითების კათედრის #2 ოქმები რემედიაციისა და ურთიერთდასწრების შედეგების განხილვის შესახებ;
- ბრძანება N2-229 მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის დამტკიცებისა და სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუმენტი გეოგრაფიის მიხედვით;
- ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის ანგარიში;
- შინ სწავლების ბრძანება N2-28;
- რემედიაციის წესი;
- სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ნორჩ ქიმიკოსთა კლუბი „ირიდას“ წესდება;
- სამოქალაქო კლუბი „კარავის“ დებულება;
- პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში „დროის ლაბირინთები“;
- პროექტები მოქალაქეობაში (ერთად ვქმნით უსაფრთხო სკოლას; „დემოკრატია იწყება სკოლაში“);
- შემჯამებელი დავალების ანალიზი;
- საგნობრივი კურიკულუმები მათემატიკაში;
- საფეხურის კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შუალედური შედეგის შესამოწმებელი დავალების შეფასების კრიტერიუმები;
- საგნობრივი კურიკულუმები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში;
- შეფასების რუბრიკები მუსიკასა და ხელოვნებაში;
- შეფასების რუბრიკები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი რესურსი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების სახით. ასევე დამატებითი რესურსები უმეტესად ციფრული და მედიამასალების სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, სხვა დამხმარე რესურსი. საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსს, ვიდეო რესურსს, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებს, რუკებს, პოსტერებს, პლაკატებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. რესურსების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ამ ინდიკატორში კათედრა სამივე საფეხურზე შეესაბამება მოთხოვნებს. სამივე საგანში კურიკულუმები შემუშავებულია გრფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. აგრეთვე კათედრა მრავლად იყენებს სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს (ლინკები მოცემულია კურიკულუმებში) რაც შეეხება **უკრაინულ სექტორს** მიუხედავად იმისა რომ ძირითად სახელმძღვანელოდ იყენებენ უკრაინაში გამოცემულ წიგნებს ამ წიგნებში მოცემული თემები და აქტივობების მიზნები შეესაბამება ესგ-ში მოცემულ თემებს და მიზნებს. ძირითადი რესურსის გარდა უკრაინულ სექტორზე მრავლად იყენებენ სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნების პედაგოგები წლის დასაწყისში ირჩევენ ძირითად რესურსებს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების სახით. ასევე კათედრა აქტიურად იყენებს სხვადასხვა მატერიალურ თუ ელექტრონულ რესურსებს ვიდეო თუ აუდიო სახით. ყოველივე წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმებში ბმულების სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუების ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები. გამოყენებულია როგორც სახელმძღვანელოები, ისე მრავალფეროვანი დამატებითი მასალები- სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ინტერნეტრესურსები, რომლებიც აძლიერებს სწავლების დინამიკურობასა და მოსწავლეთა ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში მიზნობრივად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი. კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი მრავალფეროვანი რესურსები (სასწავლო მასალები, ვიზუალური და ციფრული რესურსები), რომლებიც მნიშვნელოვნად ავსებს და ამდიდრებს საგნობრივ კონტენტს. აღნიშნული რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს სწავლების პროცესის დინამიურობასა და ინტერესის ზრდას მოსწავლეთა შორის, ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობასა და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ მასწავლებლები სისტემატურად იყენებენ როგორც ძირითადი სახელმძღვანელოს, ისე დამატებით რესურსებს გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარებისას. მათ შორისაა ვიდეომასალები, დიაგრამები, ელექტრონული პლატფორმები და თამაშზე

	დაფუძნებული სწავლების ელემენტები, რაც ადასტურებს კურიკულუმით განსაზღვრული რესურსის ეფექტიან ინტეგრაციას სასწავლო პრაქტიკაში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები მრავალფეროვანია, რაც იძლევა საშუალებას სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შესწავლილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ მასწავლებლები სხვადასხვა საგანში იყენებენ მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს, რაც ხელს უწყობს სწავლების პროცესის ეფექტურ და მრავალმხრივ განვითარებას. კათედრის ოქმების მიხედვით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაზე ტარდება ძირითადი და დამხმარე რესურსების მიმოხილვა. აღნიშნული პროცესი ემსახურება იმ რესურსების შერჩევასა და დამტკიცებას, რომლებიც აუცილებელია სწავლების გამართული პროცესისთვის, კურიკულუმების მიზნობრივი განხორციელებისა და სასწავლო თემების მრავალმხრივი დამუშავებისთვის. ამ განხილვების საფუძველზე, კათედრა ამტკიცებს როგორც **ძირითადი (გრიფირებული) სახელმძღვანელოების**, ისე **დამხმარე რესურსების** ჩამონათვალს. ეს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულობასა და სტანდარტებთან შესაბამისობას.

	კურიკულუმებში მკაფიოდ მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ხოლო ცალკეულ თემებში მითითებულია დამატებითი დამხმარე რესურსებიც, თემატურად შერჩეული ციფრული რესურსები, ვიზუალური და სასწავლო მასალები, გრაფიკული მაორგანიზებლები და სხვა, რაც აძლიერებს სწავლების მრავალფეროვნებას და მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **უკრაინულ სექტორზე** პედაგოგები აქტიურად იყენებენ თემატურად შერჩეულ სასწავლო კონტენტს ინტერნეტიდან, მათ შორის მეცნიერულ თემებზე შექმნილ საბავშვო ანიმაციებსა და ვიზუალურ მასალებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა წარმოადგინეს კონკრეტულ თემებსა და საკითხებზე მათ მიერ შექმნილი რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს მიეწოდებათ როგორც **ელექტრონულ ფორმატში**, ასევე **მატერიალური (ნაბეჭდი) სახით**. აღნიშნული პრაქტიკა ხაზს უსვამს მასწავლებელთა აქტიურ მონაწილეობას სასწავლო რესურსების ადაპტაციასა და შემოქმედებით გამოყენებაში, რაც მნიშვნელოვნად ამდიდრებს სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსები შეირჩევა სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას შემუშავებული აქვს ვალიდაციის წესი, რომლის მიხედვითაც კათედრაზე მოხდა საზოგადოებრივ მეცნიერებებში გამოყენებული დამხმარე რესურსის ვალიდაცია. კერძოდ, სკოლა როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე წლის ბოლოს ახდენს დამხმარე რესურსის შერჩევას,

	გადამოწმებასა და დამტკიცებას. კათედრაზე რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. ვალიდაციას ახორციელებს საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა ჯგუფი და ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ კურიკულუმები შემუშავებულია გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. აგრეთვე კათედრა მრავლად იყენებს სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს (ლინკები მოცემულია კურიკულუმებში). ინტერვიუს დროს დასმულ კითხვაზე თუ რა პრინციპებით და როგორ ადგენენ დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალს მასწავლებლებმა გასცეს პასუხი რომ სასწავლო წლის განმავლობაში ერთად იკრიბებიან და მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ადგენენ ამა თუ იმ დამხმარე რესურსის შესაბამისობას ესგ-ის საგნობრივ სტანდარტთან (თემა, მიზნები და ა.შ.) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია კათედრამ სასწავლო წლის დასაწყისში შეადგინოს ცალკე დოკუმენტად ან ცალკე სიით დამატებითი დამხმარე რესურსების ჩამონათვალი, რომელიც წარდგენილი იქნება კათედრის პირველ ოქმის დანართად და სკოლის/ ადმინისტრაციის სათანადო პირმა გამოიკვლიოს ამ რესურსების ვალიდობა / ან თავად კათედრამ დაადგინოს ამ რესურსების ვალიდობა.
ესთეტიკური აღზრდა	რესურსების ვალიდაცია ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული ვალიდაციის წესის შესაბამისად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	რესურსების ვალიდაცია ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული ვალიდაციის წესის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	სკოლას შემუშავებული აქვს ვალიდაციის წესი, რომლის მიხედვითაც კათედრაზე მოხდა მათემატიკაში გამოყენებული დამხმარე რესურსის ვალიდაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება საგნობრივი კათედრების შეხვედრების ფარგლებში. სკოლას შემუშავებული აქვს ვალიდაციის წესი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კათედრების საშუალებით ახორციელებს იმ **დამატებითი სასწავლო რესურსების აღრიცხვას**, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. კათედრის შემდგომ სხდომებზე, როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ შეხვედრებისას, დეტალურად განიხილება ამ რესურსების გამოყენების შედეგები, რაც უზრუნველყოფს მათ ეფექტიანობისა და მიზნობრიობის შეფასებას. მიღებული დასკვნების საფუძველზე, **სკოლა ადგენს რესურსების ვალიდაციას** და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას მათი შემდგომი გამოყენების შესახებ მომავალ სასწავლო წელს.

	აღსანიშნავია, რომ კათედრის ოქმებში ასახულია ელექტრონული რესურსების ბმულებიც, რაც ადასტურებს ციფრული რესურსების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში და მათი გამოყენების გამჭვირვალობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია საგნობრივი მიმართულებების მიხედვით, აქვთ ქიმიური რეაქტივები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი, საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, კომპიუტერებით, პროექტორით, ინტერნეტით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში, ხოლო პედაგოგს უადვილებს მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	სკოლას და კერძოდ უცხოური ენების კათედრას გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი რომ უზრუნველყონ კურიკულუმებში გათვალისწინებული მიზნების მიღწევა. (ელ.ტექნიკა, ინტერნეტი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ მოწოდებული მასალით ასევე მასწავლებელთა ინტერვიუდანაც დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შესაბამის გარემოში, სკოლა უზრუნველყოფილია შესამაბისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	დოკუმენტაციის განხილვისა და კათედრის წევრებთან ინტერვიუს შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, საკლასო ოთახები აღჭურვილია პროექტორებით,მასწავლებლებს აქვთ ლეპტოპები რაც უზრუნელყოფს საგაკვეთილო პროცესში კურიკულუმით განსაზღრული ციფრული რესურსების გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რომელიც მითითებულია საგნობრივ კურიკულუმებში. სკოლას აქვს კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის ბურთები, ფრენბურთის ბადე, კალათბურთის ფარები, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა და ჩოგნები, ტანვარჯიშული ლეიბები, ჰულა-ჰოპები, ნიშნულები და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია, სკოლას მიღებული აქვს ახალი კომპიუტერები და სხვა ტექნიკა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების

	რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში გათვალისწინებული სასწავლო შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. სკოლაში ვიზიტის დროს წარმოდგენილი მასალებისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ **საკლასო ოთახები სათანადოდ არის აღჭურვილი** — თითოეულ აუდიტორიაში ხელმისაწვდომია **პროექტორები**, ხოლო პედაგოგებს გააჩნიათ **ლეპტოპები**, რაც მათ საშუალებას აძლევს საგაკვეთილო პროცესში ეფექტურად გამოიყენონ **კურიკულუმით განსაზღვრული ელექტრონული რესურსები.** აღნიშნული ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლების პროცესის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად წარმართვას და უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების რეალიზაციას როგორც ქართულ, ასევე უკრაინულ სექტორზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია. სულ არის 41 პედაგოგი ამათგან 7 წამყვანი, 27 უფროსი, ხოლო უკრაინული სექტორის 7 მასწავლებელს აქვს უცხოური უნივერსიტეტის დიპლომი, შესაბამისი საგნობრივი კომპეტენციის მიხედვით და მინისტრის 174 ნ დადგენილებით უფლება აქვთ აღნიშნულ სკოლაში მასწავლებლად მუშაობის. მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია, დაგეგმონ და განახორციელონ მოსწავლეზე მორგებული აქტივობები და შეაფასონ ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების შესაბამისად. სკოლაში არსებობს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ტექნიკურ- მატერიალური ბაზით, სადაც ორი უფროსი სპეციალური მასწავლებელი საგნის მასწავლებელთან ერთად ახდენს სსსმ მოსწავლეებისთვის საჭირო მხარდაჭერასა და რესურსების მიზნობრივად გამოყენებას. სკოლას ყავს საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც უზრუნველყობს კომპიუტერული ლაბორატორიით ხელმისაწვდომობას მთელი სასკოლო საზოგადოებისთვის და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებაში,

ასევე მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ პროექტები და სხვა აქტივობები განახორციელონ, რაც მათთან გასუბრების პროცესში გამოიკვეთა. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს მოსწავლეების და მასწავლებლებისთვის საჭირო ბეჭდური რესურსების ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლის ნამუშევრები; შემოქმედებითი ტიპის დავალებები;
- მასწავლებლის პირადი საქმეები;
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ისგ- დოკუმენტაცია;
- ისგ- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები მათემატიკაში;
- ვალიდაციის წესი;
- მათემატიკის კათედრის სხდომის ოქმი;
- საგნობრივი კურიკულუმები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში;
- საგნობრივი კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე;
- სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესი (ბრძ. N 1-46, 25/06/2025).
- სპორტული ინვენტარის ამსახველი ფოტომასალა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - უკრაინული სექტორი*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური მიღწევებისა და განვითარების გამოკვეთას, პრობლემების გადაჭრასა და აღმოფხვრას, რაც ხორციელდება კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრებით, უკუკავშირისა და რეკომენდაციების გაცემით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ კურიკულუმის მინიტორინგი და შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით. კერძოდ, კათედრის მიერ ხორციელდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით, შეფასების რუბრიკების გამოყენებით. სკოლის მიერ წარმოდგენილია „სასკოლო კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და რევიზიის ანგარიში“ , სადაც აღწერილია აღნიშნული პროცესი, რაც გულისხმობს იმას, რომ მონიტორინგი და შეფასება დაფუძნებულია საგნობრივი კათედრების ანგარიშებზე, ფოკუსირებულია თვითშეფასების შედეგებსა და სადიაგნოსტიკო წერების ანალიზზე. შესაბამისად, მონიტორინგი და შეფასება იძლევა კურიკულუმის ეფექტურ განხორციელებასა და პრობლემის გადაჭრის საშუალებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლას აქვს გამოცდილება, რომ მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებით გამოკვეთოს პრობლემი, დაადგინოს საჭიროება და მოახდინოს ეფექტური უკუკავშირი. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით განსაზღვროს პრობლემის მოგვარების გზები და საშუალებები ურთიერთდასწრებებით, გამოცდილების გაზიარებით. სკოლას განსაზღვრული აქვს, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში აქტიურად ჩაერთოს მშობლები, რაც მათთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა. ასევე ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და წახალისებას, რაც ასევე მასწავლებელებმა აღნიშნეს. შესაბამისად, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების მასალები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- „სასკოლო კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და რევიზიის ანგარიში“

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ინტეგრირებულად, ერთიანი, სისტემური მიდგომით და ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. კერძოდ, მოსწავლის აკადემიური, პიროვნული, ფსიქო-ემოციური, ძლიერი და სუსტი მხარეების, ინტერესების, კრიტიკული აზროვნების, კრეატიულობის, შემოქმედებითობის განსასაზღვრად თითოეული კათედრა იყენებს შეფასების რუბრიკებს, შემოქმედებით დავალებებს, მოსწავლეების მიერ შექმნილ სასწავლო პროდუქტებს (ალბომები, დღიურები, ბუკლეტები, პოსტერები, კომიქსები, მაკეტები, პრეზენტაციები ...), პროექტებს, მოსწავლის პორტფოლიოს, მოსწავლეთა თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას, ჯგუფური მუშაობას და სხვა. შეფასების პროცესებში ჩართულია მთლიანი სასკოლო საზოგადოება: მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, ადმინისტრაცია რაც მათთან გასუბრების პროცესშიც გამოიკვეთა. ამრიგად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის კათედრების მიერ კურიკულუმების შექმნის/რევიზიის პროცესის პარალელურად იქმნება შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემის ფარგლებში და ემყარება გრძელვადიანი მიზნებს, რომელიც დაფუძნებულია ესგ- ის პრინციპებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა კონტექსტით. კერძოდ, კათედრებზე არსებობს ურთიერთდასწრების კულტურა, მასწავლებელები აკვირდებინ პროცესს და გაცემული უკაკავშირის მიხედვთ ახდენენ რეკომედაციების შემუშავებას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში შეფასების სხვადასხვა ფორმით დამკვიდრებას. შეფასების პროცესში მასწავლებელი ითვალისწინებს გარემოს, რაც მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე ახდენს გავლენას, როგორიცაა, არაფორმალური გარემო, სკოლა, კლასი, სოციუმი, შესასაწავლი საკითხი/ თემა, მოსწავლის ინტერესთა თანხვედრა. ასევე მშობლებს საშუალება აქვთ შეავსონ ელექტრონული კითხვარი და გააცნონ სკოლას თავიანთი მოსაზრებები მათი შვილის აკადემიურ მოსწრებასა და საჭიროებებზე. შესაბამისად, სკოლას აქვს პრაქტიკა მრავლფეროვანი კონტექსტის მიხედვით მოახდინოს მონაცემების ანალიზი, რაც შეფასებას მოსწავლეზე ორინტირებულს და ვალიდურს ხდის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებლი ანალიზის ფორმები, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, შემოქმედებითი ტიპის დავალებების შეფასებები მოსწავლეების მიერ შესრულებული წერილობითი დავალებები, დღიურები, პოსტერები, კომიქსები. ყოველდღიურ სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ აქტიურად ხორციელდება დაკვირვება, საუბრები, უკუკავშირის გაცემა რომელიც აჩვენებს როგორ განუვითარდათ დროთა განმავლობაში მოსწავლეებს სააზროვნო უნარები და საგნობრივი ცოდნა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლა შეფასების პროცესში დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისათან ერთად და ფუნქციურ- კომპეტენტური უნარების განვითარებას, კერძოდ შეფასებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ ნებისმიერ ფაქტორს, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლის პროცესზე და შედეგზე. კერძოდ, სოციუმი, ოჯახი, ტრადიციები. რაც ასევე გამოიკვეთა ინტერვიუს დროს, ქართულისა და უკრაინული სექტორის მასწავლებელები ერთხმად აღნიშნავდნენ ამ პროცესიის ეფექტურობას. ასევე მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათთან კლასის ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობა, რაც ახდენს თითოეული მოსწავლის საჭიროებების მეტად გამოკვეთასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. შესაბამისად, სკოლაში მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების მასალები/ოქმები;
- სასწავლო პროექტები;

- შემოქმედებითი დავალების მიხედვით მოსწავლეთა ნამუშევრები;
- მოსწავლეების ისგ და სამუშაო ჯგუფის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - უკრაინული სექტორი*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და მხარდაჭერის პროცესი. შესაბამისად, სკოლა ქმნის მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტს, რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრების ჩართულობას მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას, გაკვეთილებზე

ურთიერთდასწრებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით კურიკულუმებში ცვლილებების შეტანას რაც აღნიშნული დოკუმენტის სკოლის საჭიროებებზე მორგებას უზრუნველყობს. ამრიგად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის შექმნისა და მხარდაჭერის პროცესი, ჩართული მხარეების ფუნქცია- მოვალეობები, რაც მასწავლებელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა საგნობრივი მიმართულებების მიხედვით. კერძოდ, მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, საუკეთესო პრაქტიკულ მაგალითებას/ აქტივობებს, სასკოლო საზოგადოების რეკომენდაციებს, შემაჯამებელი და შემოქმედებითი ბუნებისა დავალებების შედეგებს და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - უკრაინული სექტორი*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი: 30.11.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ქეთევან ბაცანკალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნიკა უთალიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

მზევინარი დარბაისელი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა ჯიმშიაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ვალერიანე ვოლჩანსკი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ლეილა ხელისუფალი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

დიმიტრი პოპოვი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

თეა გაბისონია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ლიანა კობესაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

მანანა როსტომაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი